# აპაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აპაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი № 5-6 (№187-188) • მაისი-ივნისი 2017 წელი

გოეთეს დღეები - 2017 გვ.3

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – XXVII გვ. 5

საერთაშორისო სიმპოზიუმი თურქეთში გვ. 4

მონოგრაფია ღირსეულ მწერალზე გვ. 10

„ცვრიანი სიტყვის" პოეტი გვ. 13

***

2 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა უნგრეთის დებრეცენის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი გატი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა გოგინავა. პროფესორებმა აწსუ მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებსა და მიმართულების სტუდენტებს საჯარო ლექცია წაუკითხეს მათემატიკის თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.

***

4 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: აწსუ რექტორი გიორგი ღავთაძე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სერგი კაპანაძე, ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი.

შეხვედრის თემას წარმოადგენდა „საქართველო და ევროკავშირი", რომლის დასასრულსაც გაიმართა საინტერესო დისკუსია.

***

25 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

აწსუ პროფესორმა სულხან კუპრაშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ძირითადი ეტაპები".

გაიმართა ფილმის ჩვენება „ქართველ მუჰაჯირთა ტრაგედია".

ღონისძიების დასასრულს, აწსუ პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გამართეს დისკუსია.

# იმიტირებული პროცესი

პირველ აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა, პოლიციის აკადემიის შენობაში. აღნიშნული იმიტირებულში მონაწილეობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული გუნდი. ესენი იყვნენ: დოდო ჯუღელი, ილია გორდულაძე, ნიკა გოგია, სალომე სოფრომაძე და ბექა ფოცხვერია. ჩვენი უნივერსიტეტის გუნდა ჯერ 72 გუნდიდან 12 საუკეთესოში მოხვედრა შეძლო. შემდგომ კი ამ 12 გუნდიდანაც გამარჯვება არავის დაუთმო და ღირსეული გამარჯვება მოუპოვა აკაკა წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

***

3 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კამპანიის `დაინახე ყველაფერი~ ფარგლებში, ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წარმომადგენლებმა: ქრისტინე კოსტავამ და ანა ლორთქიფანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საკუთარი წარმატების ისტორიები. გაიმართა საინტერესო მასტერკლასები და დისკუსიები. კამპანია გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით, ევროკავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართული აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტები.

ღონისძიების დასასრულს, მუსიკალური ნომერი წარმოადგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებით დაკომპლექტებულმა პარაორკესტრმა.

ქუთაისში გამართული ღონისძიება პირველია საკომუნიკაციო კამპანიის რეგიონალურ პრეზენტაციებს შორის, რომლებიც აპრილ-ივნისის განმავლობაშია დაგეგმილი. ქუთაისის შემდეგ პრეზენტაციები გაიმართება ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, მარნეულში, ახალციხესა და ბათუმში.

***

18 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართლის მიმართულების სტუდენტებს, დეტალურად გააცნეს ინფორმაცია სტაჟიორთა კონკურსის პირობების, მოთხოვნებისა და ეტაპების შესახებ.

ღონისძიება აწსუ რექტორმა გიორგი ღავთაძემ გახსნა. საქართველოს პროკურატურიდან შეხვედრას დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორი ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, საოლქო პროკურორის მოადგილე გიორგი ცხოვრებაძე და პროკურორი ნათია კიკვაძე ესწრებოდნენ.

საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა სტუდენტებისათვის გამართეს პრეზენტაცია სახელწოდებით: საქართველოს პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ღირებულებები. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

## თედო უთურგაიძე - 90

*ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორს, ენათმეცნიერს, ბატონ თედო უთურგაიძეს 90 წელი შეუსრულდა.*

*ბატონი თედო არაერთი თაობის აღმზრდელია.*

*– თქვენ დაისახეთ ქართველი ერის სამსახური მთავარ მიზნად, რამაც უკეთესი მომავლის იმედი, რწმენა შეგინარუნათ და გაგაძლიერათ.*

*თქვენი მეგობრობა, საენათმეცნიერო ურთიერთობები, დაფასება, სიყვარული ყოველთვის სუფთა და სპეტაკი იყო და არის.*

*გისურვებთ კვლავ მრავალი წელი გეკეთებინოთ განგებისგან თქვენთვის მიჩენილი საქმე.*

*გილოცავთ საიუბილეო თარიღს.*

*კიდევ დიდხანს იცოცხლეთ ასე მხნედ, სიყვარულით და პატივისცემით გარემოსილმა!*

*გმადლობთ, რომ გვასწავლიდით.*

*მოკრძალებითა და პატივისცემით მარინე კუხალაშვილი.*

***

*აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის თანამშრომლები ვულოცავთ დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ბადრი ფორჩხიძეს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევას.*

# გოეთეს დღეები - 2017

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციადქცეული „გოეთეს დღეები“, რომელიც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარის ქ-ნ ნანული კაკაურიძის ხელმძღვანელობით იმართება, წლევანდელ წელს გერმანიისა და საქართველოს მეგობრობას მიეძღვნა.

პირველი შეხვედრა ქალაქისა და რეგიონის გერმანული ენის მასწავლებლებთან იანვარში შედგა, რომლებიც გაეცვნენ იუბილეს ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე).

სტუდენტების თხოვნით

დავგეგმეთ სემინარი “უცხო ენის სწავლება ადრეულ ასაკში”, სადაც მათ შეისწავლეს ძირითადი მეთოდურ-დიდაქტიკური ასპექტები და სახალისო აქტივობები. მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება მიეცათ სტუდენტებს საჯარო სკოლებში, რამაც დიდი სიხარული მოუტანა ყველა მონაწილეს.

ტრადიციულად ჩატარდა სტუდენტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც თემათა მრავალფეროვნებითა და პრობლემათა აქტუალობით გამოირჩეოდნენ. საინტერესო და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული მოხსენებები წარუდგინეს მსმენელს გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის წევრებმა. სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანისტიკის, არამედ სხვა სპეციალობების სტუდენტებიც.

“გოეთეს დღეების” ფარგლებში მოეწყო გერმანული ფილმების რეტროსპექტული ჩვენება (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამთა თურმანიძე). უაღრესად შთამბეჭდავი იყო ზაალ თოდუას მოხსენება თემაზე ”მე-20 ს. გერმანული ფერწერის ოსტატები”.

“გოეთეს დღეები 2017”-ის ფარგლებში გერმანისტიკის სპეციალობის სხვადასხვა კურსისა და ასევე არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტები ჩართული იყვნენ მრავალფეროვან ღონისძიებებში. განსაკუთრებით გამოსარჩევია მოკლემეტრაჟიანი ვიდეოფილმი, რომელიც “გოეთეს დღეების” აუცილებელ კომპონენტად იქცა. წლევანდელმა ვიდეოფილმაც “Schnell schneller” ჩვეული იუმორით მოახერხა მაყურებლის მოხიბვლა (ასოც. პროფ. ნ. შარაშენიძე).

კითხვის კონკურსმა წარმატებით დაიმკვიდრა თავი “გოეთეს დღეების” ღონისძიებებში. აღნიშნულმა ღონისძიებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ იმერ ეთის რეგიონისა და ქალაქის საჯარო სკოლის მე-6-8 კლასის დაახლოებით 40 მოსწავლე, ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა პატარა მკითხველებში.

ასევე დიდი პოპულარობით გამოირჩევა ტესტირება გერმანულ ენაში „Deutsch macht uns Spaß“ A1 და A2-დონეებზე, რომელშიც წელს 100-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე).

2017 წლის 24 მარტს გერმანული ცენტრისა და გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა „Deutsche Freunde aus Wadern für Kutaissi“. ქალაქ ვადერნის მქსოველ ქალთა საზოგადოება უკვე ათეული წელია ქსოვს ულამაზეს ნივთებს ქუთაისელი მოსახლეობისათვის. საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე შემოსული თანხა მოხმარდება სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისა და ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მარტის ბოლოს იენის ფრიდრიხ შილერისა და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში ჩვენს უნივერსიტეტში ერთი კვირით იმყოფებოდა მეცნიერთა და სტუდენტთა ხუთკაციანი დელეგაცია. სტუმრებმა საინტერესო ლექცია-სემინარები ჩაატარეს როგორც პროფესორებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. შედგა პროდუქტიული შეხვედრა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან. წარმატებული აკადემიური აქტივობებით დატვირთული კვირის ბოლოს მოეწყო ექსკურსია ნოქალაქევში, რამაც გერმანელი მეგობრების აღფრთოვანება გამოიწვია.

გერმანიის კულტურას, ისტორიას, პოლიტიკას, სახელმწიფოებრივ მოწყობას მიეძღვნა ვიქტორინა „Wer kennt Deutschland besser?“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქისა და რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეები. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი აქტიურად უერთდება ყველა ახალ ინიციატივას. პროექტი “სახალისო მეცნიერება” წელს პირველად ჩატარდა უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებში საჯარო სკოლების მოსწავლეები ეწაფებოდნენ მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების საინტერესო იდეებს. დიდი პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმითა და კრეატიულობით იქნა გაფორმებული ჩვენი სტენდი “სახალისო გერმანული” (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე).

აპრილისა და მაისის თვეებში განხორციელდა პროექტი ”გერმანული საბავშვო ბაღში”, რომლის მიზანს წარმოადგენს უცხო ენების ადრეულ ასაკში ათვისების ხელშეწყობა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს უცხო ენების მეთოდიკა/დიდაქტიკის განვითარებას, გერმანული ენის მასწავლებლების მომზადებას და მათ პროფესიულ განვითარებას. სტუდენტები ფინანსური ანაზღაურების გარეშე ატარებდნენ სხვადასხვა ბაღში 10 მეცადინეობას (ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე, ასოც. პროფ. თ. ნიჟარაძე).

პროფ. ნანული კაკაურიძის ინიციატივით ქუთაისის ცენტრალურმა სამუსიკო სასწავლებელმა ცნობილ სოპრანოს ანელი ევალდ-ბუიონს უმასპინძლა, რომელმაც გერმანელ კომპოზიტორთა რომანსები შეასრულა გერმანული რომანტიზმის ლირიკულ ლექსებზე. ქუთაისის კულტურისა და განათლების ორი უმნიშვნელოვანესი კერის, აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტისა და ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის, ხანგრძლივ შემოქმედებით ურთიერთობას კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიება შეემატა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამუსიკო სასწავლებლის დიდი გულშემატკივრის - პროფესორ ნანული კაკაურიძის განსაკუთრებული ღვაწლი. მისი თაოსნობით, სასწავლებელმა არაერთხელ უმასპინძლა უნივერსიტეტის საპატიო გერმანელ სტუმრებს, ღირსეულად წარმოუჩინა მათ ჩვენი ქალაქის და ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლები. საღამოს ესწრებოდა ასევე კიოლნის საზოგადოების წევრი მარიტა რიდელი, რომელიც აპირებს ითანამშრომლოს უნივერსიტეტსა და სამუსიკო სასწავლებელთან საინტერესო პროექტების განხორციელების კუთხით.

აღსანიშნავია გოეთეს ინსტიტუტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი “გოეთეს თასი 2017”, რომელსაც უკვე ექვსი წლის ტრადიცია აქვს. ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობას ღებულობენ გერმანულენოვანი სკოლები. წელს ამ პროექტში 10 სკოლა იღებდა მონაწილეობას. გეგუთის, სორმონის, დიმისა და გელათის საჯარო სკოლებთან ერთად მონაწილეობდნენ ქ. ქუთაისის მე-7, მე-5, მე-16, 23-ე, 35-ე და პირველი საჯარო სკოლები. წელს სიახლე იყო ის, რომ გუნდები სხვადასხვა სკოლიდან დაკომპლექტდა. ამ პროექტში ჩართულ მოსწავლეებს, გერმანული ენისა და სპორტის მასწავლებლებს მადლობას მოვახსენებთ და უამრავ წარმატებას ვუსურვებთ (თანახელმძღვანელი: ასოც. პროფ. რ. სვანიძე).

5 მაისს დასკვნით ღონისძიებაზე დაჯილდოვდა მოსწავლეთა ტესტირებაში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები, ასევე ყველა სხვა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. მათ გადაეცათ საპატიო დიპლომები, სამახსოვრო საჩუქრები და ფულადი პრიზები. აღნიშნული საღამო გაალამაზეს N 1, მე-5, მე-7, 23-ე, 28-ე, 35-ე, 41-ე, კურსებისა და გეგუთის პირველი საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა შთამბეჭდავი კონცერტით, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა შემსრულებლებმა აღაფრთოვანეს მსმენელი გერმანული ენისა და ლიტერატურის სიყვარულით (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რ. სვანიძე).

“გოეთეს დღეები 2017”-ის ფარგლებში ოქტომბერში ველოდებით სტუმრად დოქტ. ქრ. ვერთს, რომელიც საქართველოსა და ჩვენი ქალაქის დიდი მეგობარია და უკვე მეცხრეჯერ ესტუმრება ქუთაისს. ის გერმანისტიკის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის წაიკითხავს მოხსენებას თემებზე: “ძმები გრიმები” და „Herkunft, Erinnerung und Identität – Das Museum als Ort der Selbstvergewisserung“.

დასკვნის სახით, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ წლევანდელი “გოეთეს დღეების” ყველა მონაწილესა და გულშემატკივარს. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის გერმანიის საელჩოს, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებას, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურსა და გოეთეს ინსტიტუტს ჩვენი პროექტების მხარდაჭერისათვის.

***რამაზ სვანიძე***
*გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

# საერთაშორისო სიმპოზიუმი თურქეთში

12-13-14 მაისს თურქეთის რესპუბლიკის ქ. დუზჯეში გაიმართა **შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი.** სიმპოზიუმის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ნიგარ დემირჯან ჩაქარმა, უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების წევრებმა (დოცენტები: ნანა კაჭარავა, მაკა სალია, შორენა ლომაია), ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელებმა ალი ერთუღრულმა და ფეეზი ჩელებმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელმა და სტუდენტებმა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ თურქეთისა და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, საქართველოს საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების პასუხისმგებელი პირები, სტამბოლის, დუზჯესა და ისეგოლის ქართული კულტურის ასოციაციები და თურქეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, ასევე, საპატიო სტუმრები ირანიდან, ფერეიდნელი ქართველების სახით. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავის ფარგლებში გაიმართა. ღონისძიებებს ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, დუზჯეს გუბერნატორი. სიმპოზიუმის ფარგლებში მუშაობდა 9 სექცია, სადაც 40-მდე მოხსენება წაიკითხეს. სიმპოზიუმის მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებიც: პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, პროფ. ნესტან კუტივაძე, პროფ. ომარ გვეტაძე, ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილი, ასოც. პროფ. გიგა ქამუშაძე, ასოც. პროფ. ლელა ჩოგოვაძე.

შინაარსიანი და ემოციურად დატვირთული იყო სიმპოზიუმის კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა: გამოფენები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, კონცერტები. საკონფერენციო დარბაზის ფოიეში დუზჯეს ქართული კულტურის ცენტრმა ეროვნული სამოსის ჩვენება მოაწყო. სიმპოზიუმის მონაწილეებს დაურიგდათ „ვეფხისტყაოსნის” აფორიზმების ბწკარედული თარგმანი, რომელიც საგანგებოდ ამ ფორუმისტვის მოამზადა ნანა კაჭარავამ. საგამოფენო სივრცე მთლიანად „ვეფხისტყაოსნის” თემატიკას დაეთმო. ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი რუსთაველის პოემის თარგმანები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. დუზჯელი სტუდენტების მიერ კალიგრაფიულად გაფორმებული „ვეფხისტყაოსნის” აფორიზმები და საგანგებოდ სიმპოზიუმზე ჩამოსული ფერეიდნელი ქართველი მხატვრის - ჰელენ იოსელიანის კომპოზიციები „ვეფხისტყაოსნის” მოტივებზე, საკონფერენციო დარბაზის სცენაზე „ვეფხისტყაოსნის” ეპიზოდები გააცოცხლეს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებმა. სტამბოლელმა ქართველმა ორჰან ბერიძემ ქართულ ენაზე მხატვრულად წაიკითხა “ავთანდილის ანდერძი”. დუშჯელმა ქართველმა პოეტმა აბდულაჰ ჩელებიოღლუმ საკუთარი ლექსი „მუჰაჯირობა” გააცნო შეკრებილ საზოგადოებას, ამავე ლექსის ქართული თარგმანი ვიდეომონტაჟის ფორმითაც წარმოადგინეს. მუჰაჯირობის თემას ეხებოდა სიმპოზიუმზე ნაჩვენები მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მუჰაჯირთა ტრაგედია”. ქართულ ხალხურ მუსიკაზე შექმნილი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ანსამბლმა „კაფდაფმა”, დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის მომდერალთა გუნდმა (ორივე ჯგუფის ხელმძღვანელი იბერია მელაშვილი) და დუზჯელი ქართველების ახლადშექმნილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ბ. ხუჯაძე).

სიმპოზიუმის მონაწილეებს გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს უნივერსიტეტმა და დუზჯეში მცხოვრებმა ქართველებმა. შეიძლება ითქვას, რომ სიმპოზიუმის დღეები გასცდა სამეცნიერო ფორუმის ფარგლებს და ქართული კულტურის დღესასწაულად გადაიქცა.

15-16 მაისს ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სტამბოლში მცხოვრებმა ქართველებმა, მუჰაჯირებმა, საინტერესო შეხვედრები გაუმართეს სტამბოლის ქართული კულტურისა და ხელოვნების ცენტრებში. მუჰაჯირები, ჩვენებურები, ის ხალხია, რომელთაც განსაკუთრებულად ენატრებათ სამშობლო, საქართველოს მზეს უბით ატარებენ და ამ სითბოს უნაწილებენ იქ სტუმრად ჩასულ ქართველებს. თითოეულ მათგანს, თურქულის გარდა, ისტორიული, ქართული გვარ-სახელიც აქვს და საქართველოდან ჩამოსულებს სწორედ ქართული სახელით ეცნობიან. როგორც გვითხრეს, სწორედ ეს ცენტრიებია ის ადგილები, სადაც ჩვენი თურქეთში მცხოვრები თანამემამულეები სამშობლოს მონატრების დარდს უქარვებენ ერთმანეთს. ხშირად იმართება ქართული საღამოები, ახალი ლექსებისა თუ წიგნების პრეზენტაციები. სტამბულში საქართველოდან ჩასული თანამემამულეებიც პირველ რიგში სწორედ იქ მიჰყავთ. ქართველ მუჰაჯირთა ღირსეულ შთამომავლებს აწსუ რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ გადასცა უნივერსიტეტიდან წაღებული საჩუქრები. გაიმართა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და პროფ. ნესტან კუტივაძის წიგნების წარდგინება. წარმოიდგინეთ, რა გრძნობა უნდა დაგეუფლოს საქართველოდან სტამბულში ჩასულ ქართველს, როდესაც შენი სისხლით ნათესავი, სამშობლოს სიყვარულს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით გიხსნის ამ უსაზღვროდ ემოციურმა შეხვედრებმა, კერძოდ, ორხან ბერიძის სიტყვებმა, რომ 45 წლის ასაკში მშვენივრად შეისწავლა მამაპაპისეული ქართული ენა და ამის შემდეგ სიზმრების ქართულად ხილვის ამბავმა, 16 მაისს, სტამბოლის ერთ-ერთ ძირძველ უბანში ასოც. პროფ ლუკა დვალიშვილს დააწერინა ლექსი, რომელიც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებს, კერძოდ, კი ორხან ბერიძეს უძღვნა:

***სტამბოლელი მუჰაჯირი***

*სტამბოლში ვარ მუჰაჯირი*
*მუხა ტოტებშემოჭრილი,*
*მენატრება მაჭახელა,*
*ართვინი და ციხისძირი.*
*ჩემო ტკბილო მემლექეთო*
*ღამით გსტუმრობ სიზმრის*
*ფრთებით,*
*ნენეს ოდა მენატრება*
*ნეტავ როდის დავბრუნდებით.*
*დიდი ბაბუს ჩელტის ჭიშკარს*
*როდის შევხსნი თხილის ღელეჭსო,*
*ბუხარს კეცებს მივუფიცხებ*
*გავახარებ მამის ჭერსო.*
*მეზობლები თოფს დაცლიან*
*მიებმება ლხინებს ლხინი,*
*სუფრის თავში ლომივით ქუხს*
*სტამბოლელი მოჰაჯირი.*
*თეთრი ციცა რომ მიყვარდა*
*თვალვარსკვლავა, ენატკბილი,*
*შემომხედა დამატკვევა*
*სტამბოლელი მუჰაჯირი.*
*მზეო ჩადი, მალე ჩადი,*
*ამაფრინეთ სიზმრის ფრთებო,*
*ამაღამ კვლავ გესტუმრები,*
*ჩემო ტკბილო მემლექეთო.*

***ლელა ჩოგოვაძე***

# სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – XXVII

**2017 წელი 4 – 5 მაისს** გაიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური სტუდენტთა **(ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა)** XXVII სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ორგანიზატორობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სამეცნიერო დონისძიებების ორგანიზაციის სექტორი. აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია დაფინანსდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია მუშაობდა ორი დღის განმავლობაში, სულ კონფერენციის მსვლელობაში ჩართული იყო **53** სექცია, სადაც **730** სტუდენტმა წარმოადგინა სამეცნიერო მოხსენება.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომელიც ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის ტრადიციად იქცა. მათი მონაწილეობით სტუდენტები, ეცნობიან ერთმანეთს და აგრძელებენ მეგობრულ და მეცნიერულ ურთიერთობებს.

პლენარული სხდომა გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა **პროფესორმა გიორგი ჩირაძემ**. სტუდენტებს და ლექტორ–მასწავლებლებს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, **პროფესორი გიორგი ღავთაძე,** რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, **ასოც. პროფესორი შალვა კირთაძე**. **"ქუთაისობა-ორმაისობა" და „გვირილობის" ლამაზი დღეები მიულოცა** პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, დამსწრე-საზოგადოებას და სექციური მუშაობისაკენ გზა დაულოცა მითითებულ აუდიტორიებში, სამეცნიერო ცენტრის სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო კონფერენციების სექტორის სპეციალისტმა, **ასისტენტ – პროფესორმა რამაზ ხაჭაპურიძემ**.

საინტერესოდ წარიმართა **ქართული ენის** სექციის მუშაობა.. **სექციის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი მარინე ქაცარავა, სექციის მუშაობას კი თავმჯდომარეობდნენ** პირველი კურსის მაგისტრები: თეა ხაცავა და მიხეილ აბულაძე.

მოსმენილი იქნა საინტერესო მოხსენებები ქართული ლიტერატურის, ლიტთეორიისა და ფოკლორის მიმართულებით. **(სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გია ხოფერია)**. 23 მომხსენებლიდან 12 სტუდენტს გადაეცა საუნივერსიტეტო სიგელი.

აქტუალური თემებით წარდგნენ ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები საუნივერსიტეტო კონფერენციაზე. **(სექციის ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ეკატერინე არჩვაძე, სექციის თავმჯდომარე სტუდენტი - მარი ყვავაძე);** სექციის მუშაობა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო **19** მომხსენებელმა, რომელთაგან შვიდს მიეცა საუკეთესო შეფასება.

გერმანული ფილოლოგიიდან, **11** სტუდენტი იყო ჩართული სექციის მუშაობაში. წაკითხულ იქნა გერმანული ლიტერატურის და ენის მიართულებით აკადემიური მოხსენებები.

კონფერენციაზე, საქართველოს ისტორიის მიმართულებაში **(სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ოთარ ნიკოლეიშვილი)** გათვალისწინებული იყო ცხრამეტი მოხსენების წაკითხვა. რეალურად წარმოდგენილ იქნა - თექვსმეტი.

წარმოდგენილი ნაშრომები თემატიკის მიხედვით მრავალფეროვანი, შინაარსის მიხედვით კი ფრიად საინტერესო და აკადემიური გახლდათ, რის გამოც თექვსმეტივე მომხსენებელი დაჯილდოვდა სიგელით.

ასევე არქეოლოგიის სექციის სხდომამ მეტად საინტერესო დებატებით ჩაიარა. **(ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჭუმბურიძე)**. დაგეგმილი 11 მოხსენებიდან მოსმენილი იქნა 9 : **არქეოლოგიაში 4, კულტურის ისტორიაში 4, ხელოვნების ისტორიაში 1**. სექციის მუშაობამ ნაყოფიერად წარიმართა. წარმოდგენილი მოხსენებები გამოირჩეოდა საინტერესო თემატიკით და საკმაოდ კარგი სამეცნიერო დონით.

დისკუსიებით, ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტიური მსჯელობებით წარიმართა მსოფლიო ისტორიის სექციის მუშაობა. **(სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ინგა აბრამიძე)**. განსაკუთრებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე **ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის მეორე კურსის მაგისტრანტი ელმირა ფაჩულია, თემის სათაური: „გფრ-ის სწრაფვა გერმანულ სახელმწიფოთა გაერთიანებისაკენ და სსრკ-ის პოზიცია". (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დავით წულეისკირი)**. აქტიურ, ცხარე კამათსა და დისკუსიაში მაგისტრი დამაჯერებელ პასუხებს სცემდა, რომელმაც თავისი მოხსენების წარმოჩინებითა და მომზადებით საუკეთესო მომხსენებლის სიგელი დაიმსახურა, ასევე დაჯილდოვდა ისტორიის სპეციალობის ცხრა სტუდენტი.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციამ **2017 წლის 4 და 5 მაისს** კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტში **(სექციის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ეკატერინე გაჩეჩილაძე; სექციის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი ვერა წერეთელი;)** პროდუქტიულად იმუშავა. სულ წაკითხულ იქნა **24 მოხსენება** ,მათ შორის **12 სტუდენტს** გადაეცა სიგელი მიღწეული წარმატებებისათვის.

4 მაისს ორგანიზებულად და აკადემიურად გაიმართა აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია **(სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლეილა ქველიძე). არაბული, სპარსული, თურქული ენების** მიმართულების

სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ენის, ლიტერატურის, ისტორიის, რელიგიისა სხვა დარგებიდან. სულ წაკითხული იქნა რვა მოხსენება. მონაწილეობდნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები.

**ორგანიზებულად მიმდინარეობდა ბიზნესის, სამართლისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,** ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტების სექციების მუშაობა, რომლის ხელმძღვანელებმა **ასოცირებულმა პროფესორმა სერგო სვანაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა შოთა ლომინაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა ივლია ონიანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნარგიზ ქარქაშაძემ და პროფესორმა დალი სოლოღაშვილმა** საინტერესო და აქტუალური საკითხები წამოწიეს სტუდენტებისათვის სამეცნიერო მუშაობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტების 2017 წელს საუნივერსიტეტო კონფერენციაზე ჩართულობა, მათ წელს პირველად მიიღეს მაშტაბურად მონაწილეობა და სტუდენტთა წაკითხულმა თითოეულმა მოხსენებამ განსაკუთრებლი ყურადღება მიიპყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია: **ასოცირებული პროფესორის მანანა კოპალიანის ხელმძღვანელობით პირველი კურსის სტუდენტის ნორიკო თავბერიძის გამოსვლამ სექციურ მუშაობაზე დამსწრე-საზოგადოებათა დიდი ყურადღება მიიპყრო**

აღნიშნული ფაკულტეტიდან წარმოდგენილი იყო **115 მოხსენება,** საუკეთესო მომხსენებლის სიგელი კა დაიმსახურა **57 სტუდენტმა.**

ასევე ნაყოფიერად იმუშავეს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემათიკის, **(ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თენგიზ ბოკელავაძე),** ფიზიკის, **(ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გოგისა ტომარაძე),** ქიმიის, **(ხელმძღვანელი მასწავლებელი მადონა კუხალეიშვილი),** კომპიუტერული ტექნოლოგიების მეცნიერებების **(ხელმძღვანელი პროფესორი აკაკი გირგვლიანი), ბიოლოგიის (ხელმძღვანელი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ნათელა ღვინიანიძე)** სექციებმა.

აღსანიშნავია, რომ **გეოგრაფიის სექციამ** სამეცნიერო მუშაობა მიუძღვნა: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის - ნიკოლოზ ბერუჩაშვილის 70 წლის იუბილეს. **აღნიშნულ სექციაზე წაკითხულ იქნა 10 მოხსენება, რომელთა უმრავლესობამ, ექვსმა სტუდენტმა, საუკეთესო მომხსენებლის სიგელები დაიმსახურეს.**

**პედაგოგიური ფაკულტეტზე** საინტერესო დისკუსიებით, ტექნიკური საშუალებებით, სტუდენტთა და ლექტორ მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით წარიმართა პედაგოგიკის **(ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო ორჟონიკიძე),** ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის, **(ხელმძღვანელი პროფესორი ლეილა აბზიანიძე)** და მათემათიკის მეთოდიკის **(ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მანანა დეისაძე)** სექციების მუშაობა. სულ წაკითხულ იქნა 77 მოხსენება, სიგელი კი დაიმსახურა 30 სტუდენტმა.

4–5 მაისს საინჟინრო–ტექნოლოგიურ და საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტებზე მიმდინარეობდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ყველა კურსის სტუდენტებმა, რამაც განაპირობა წარმოდგენილი თემატიკის მრავალფეროვნება.

საინჟინრო-ტექნოლოგიურ და საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე წარმოდგენილი იყო სულ 80 მოხსენება. მომხსენებელთა შორის განსაკუთრებით საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს თითქმის ნახევარზე მეტმა, **43** სტუდენტმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ საუკეთესო მომხსენებლის სიგელებით.

**აგრარული ფაკულტეტზე** ორდღიანი მუშაობისას მოხსენებით წარსდგა **110** - ზე მეტი სტუდენტი; საუკეთესო მომხსენებლის სიგელი კი დაიმსახურა **30** სტუდენტმა; ამ ფაკულტეტის სექციურ მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტების მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებში და პირიქით, ბათუმელებიც დაინტერესდნენ მასპინძელი სტუდენტების მიერ ჩატარებული სამუშაოებით.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო, **პროგრამა:** სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ბაკავლარიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობის ამაღლებაზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარები, მათ თავიანთ მეცნიერულ კვლევებში აქტიურად ჰყავთ დაკავებული სტუდენტები და აძლევენ უფრო მეტ თეორიულ, თუ პრაქტიკულ გამოცდილებას. ამ მხრივ თავისი ძალა და ენერგია არ დაიშურეს ქიმიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ნინო ხელაძემ, ტექნიკის აკადემიურმა დოქტორმა ვახტანგ რუხაძემ და ინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა არჩილ გეგუჩაძემ, რომლებმაც აქტიურად ჩართეს სტუდენტები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

**4 და 5 მაისს,** ორი დღის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა **53** სექცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ სექციის ხელმძღვანელებმა სამეცნიერო ცენტრს წარუდგინა სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სიები, რომლებმაც დამსახურებულად დაიმსახურეს სიგელები. **სულ 340 სტუდენტმა მიიღო სიგელი მიღწეული წარმატებისათვის.**

ვფიქრობთ, რომ უკვე ჩვენს უნივერსიტეტში, ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად, ბევრი რამ ახალიც იკიდებს ფეხს, რითაც თანამედროვე მოთხოვნები სასწავლო – მეთოდური თვალსაზრისით უფრო ფართო სპექტრით წარმოჩინდება და ჩვენი სტუდენტები ხმამაღლა იტყვიან პრაქტიკულ ცხოვრებაში თავიანთ სათქმელს, რომელიც დამყარებული იქნება უნივერსიტეტში მიღებულ აკადემიურ განათლებასა და უნარ-ჩვევებზე.

**რამაზ ხაჭაპურიძე**
*სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სტუდენტთა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაციის სექტორის სპეციალისტი*

# დემურ თედორაძე - 75

უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, ფაკულტეტის საბჭოს წევრს, სიკეთითა და თავმდაბლობით მისაბაძ პიროვნებას, თვალსაჩინო ოჯახის მამასა და მეუღლეს, რჩეულ ინტელიგენტს ბატონ დემურ თედორაძეს 75 წელი შეუსრულდა.

ბატონი დემური დაიბადა და გაიზარდა კონსტანტინე თედორაძისა და ლიუდმილა ცხადაძის შესანიშნავ ოჯახში, საშუალო განათლება ქუთაისის რკინიგზის მე-20 საშუალო სკოლაში მიიღო,შემდეგ კი წარმატებით დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ფიზიკის სპეციალობით. ახალგაზდრა სპეციალისტმა სტუდენტობიდანვე მიიპყრო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, რამაც განაპირობა მისი მიწვევა ფიზიკის კათედრაზე. უკვე ორმოცდაათი წელია, რაც უნივერსიტეტში მუშაობს და გაიარა გრძელი გზა ლაბორანტობიდან კათედრის გამგეობამდე. ბატონი დემური დღესაც ჩვეული პროფესიონალიზმით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ფიზიკის კათედრაზე მოსვლის შემდეგ დემურ თედორაძე ჯერ ასტრონომიის კურსს კითხულობდა, ხოლო შემდეგ თეორიული ფიზიკის ისეთ რთულ დარგს გაუძღვა,როგორიცაა კვანტური მექანიკა. ველის კვანტური თეორიისა და მაღალი ენერგიების ნაწილაკების ფიზიკასთან ერთად იგი დაინტერესდა მრავალნაწილაკიანი კვანტური მექანიკით,როცა გაიცნო თბილისის სახელმწიფო ნუნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი რევაზ ჯიბუტი.

მრავალი ნაწილაკისაგან შედგენილი ბირთვული სისტემებისათვის ჰიპერბოლური მეთოდის კულონური პოტენციალით ბმულ სისტემებზე განზოგადება პროფ. რ. ჯიბუტისა და დ. თედორაძის დამსახურებაა. ამ თემაზე შემაჯამებელი მოხსენებით ბატონი დემური 1990 წელს გამოვიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კვანტური მექანიკის კათედრაზე, სადაც ფაქტიურად განხორციელდა მისი სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია, რომელიც სულ მალე ოფიციალურად დაიცვა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

ბატონი რევაზ ჯიბუტის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ ფუძეჩაყრილ პრიორიტეტულ ფიზიკურ მიმართულებას წარმატებით ავითარებს დემურ თედორაძე ფიზიკის კათედრის სხვა წარმომადგენლებთან ერთად და ამ მხრივ სასურველ წარმატებებსაც აღწევს.მიღწეული შედეგები არაერთხელ გამოქვეყნებულა ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში.

ბატონი დემური წლების მანძილზე იყო ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო-მეთოდური წრეების მუშაობაში.იგი ყოველთვის ახალგაზრდული ენერგიულობით გამოირჩეოდა, რაც ალბათ განპირობებული გახლდათ იმითაც, რომ ერთ დროს სპორტით იყო გატაცებული და ცურვაში სპორტის ოსტატის წოდებაც კი მოუპოვებია.

დემურ თედორაძე დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ბატონი დემური შესანიშნავი ქართული ოჯახის მამა და ბაბუაა.მან მეუღლესთან პროფესიით პედაგოგ, ცაცისთან ერთად ოთხი შვილი აღზარდა, რომელთაგან სამს ჩვენი უნივერსიტეტი აქვს წარმატებით დამთავრებული. ჯერჯერობით ორი შვილიშვილის ბაბუაა, თუმცა, იმედია, მათ კიდევ არაერთი მიემატება.

პროფესიულ განსწავლულობასთან ერთად ბატონ დემურს უყვარს პოეზია, საერთოდ მხატვრული ლიტერატურა, სპორტი, იგი დახელოვნებული და ენამოსწრებული მოკამათე-მოსაუბრეცაა და რჩეული თამადაც.

უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტი და დეკანატი დემურ თედორაძეს უსურვებს დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას მისი ოჯახისა და კოლეგა-მეგობრების გასახარად.

*ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ფიზიკის დეპარტამენტი*

## გილოცავ!

ჩემს უფროს მეგობარს და კოლეგას, ბატონ დემურ თედორაძეს ვულოცავ საიუბილეო 75-ე წლისთავს!

ბატონი დემური, „დემური მასწავლებელი", ყველა სტუდენტის საყვარელი ლექტორი და პედაგოგია. ყველას ხიბლავს მისი კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. იგი სტუდენტების და კოლეგების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილია და სასიამოვნოა მასთან ურთიერთობა. კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა უბადლო თამადობითაც გამოირჩევა.

ბატონო დემურ, როგორც ერთი პოეტი ამბობს, ვაჟკაცური გაელვებით გალიე ეს 75 წელი და ცდილობდი ცხოვრებაში რაიმე არ შეგშლოდა.

გისურვებ კიდევ ასე ვაჟკაცურად გევლოს ამ ქვეყანაზე ძვირფას ოჯახთან, საყვარელ შვილიშვილებთან და ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვისაც უხარია შენი დანახვა!

*თამაზ გვალია*

## თავმდაბლობით ამაღლებული

მარტოობა არასოდეს გიგრძვნია იმიტომ, რომ შენს ფიქრებს შენთან ერთად ღმერთი დაჰყვებოდა, შენს ნაფეხურებს მიყვებოდა და აძლიერებდა შენს მუხლთა ძალას, სადაც გაგიჭირდებოდა, ხელში აგიყვანდა და მშვიდობიანად გადაგსვამდა სასურველ ადგილზე. ალბათ ეს იყო ის ძალა, რომელმაც ასეთი დიდი ოჯახი შეგაქმნევინა, რაც ყველაფერზე დიდად ღირებული და ძლიერი კაცობის დასტურია. მოვიდეს და დაგეჯიბროს, ვისაც სურს! ყველაფერი თითქოს კანონზომიერად წარიმართა - სამსახურებრივი და სამეცნიერო წარმატებები, რომლებიც თავმდაბლობას და არა ქედმაღლობას გმატებდა, რადგან კარგად იცოდი: „ ჩია კაცი, რომ მთაზედაც ჩიაა,გოლიათი კი ორმოშიაც დიდია".

ჩემო დემურ, სიყვარულით გავლილი გზა შენთან ერთად პირველი კურსის სტუდენტობიდან მოყოლებული სასიამოვნო ფიქრებს აღმიძრავს. რამხელა დრო გასულა ჩვენი ძმობისა და მეგობრობისა, რა ამაღლებულნი და გახარებულნი ვხვდებოდით ერთმანეთს ჩვენი წარმატებების გამო. შენ, ჩემო დემურ, ნიღბით არასოდეს გივლია მრავალსახეთა გამოსაცდელად. შენს საიუბილეო დღეებში ხედავ და დარწმუნდი, რომ დრო უქმად არ დაგიხარჯავს. ხარჯავდი სიკეთის კეთებით, როგორც ბლეზ პასკალი იტყოდა: "იხარჯებოდი და იწვოდი, ვითარც აბედი კვესითა". იხარჯებოდი ძმათათვის, ახალგაზრდობისათვის, შენი დიდი ოჯახისათვის. დიდი მადლობა შენს ძვირფას მეუღლეს ქალბატონ ცაცის, რომელმაც ყველაფერი ეს შეგაძლებინა. არასდროს გიცდია ვისმეს რაიმეს მიტაცება. ალბათ, არც ახლა მიითვისებ ღვაწლს შენი მეუღლისას, შენი დიდკაცობის ჩამოყალიბებაში რომ მიუძღვის.

ბავშვობაში სამოცდაათი წლის კაცით გაკვირვებული ვიყავი, ამდენხანს როგორ იცოცხლა-მეთქი. ახლა ძალიან ცოტად მეჩვენება - თურმე ამიტომ ჰქვია წუთისოფელი ცხოვრებას ჩვენსას. წუთში კი თურმე 75 წელზე მეტის მოგონება შეიძლება. რა ცოდვაა ადამიანი, რომელსაც ვერ ხედავენ და ვერ ამჩნევენ - შენ, ჩემო დემურ არასოდეს ყოფილხარ შეუმჩნეველი. შენი წყნარად ყოფნა ყველაზე დიდი ხმაური იყო შენი კაცობის დასანახად. არასდროს დამრჩენიხარ ჩემი მხედველობისა და მეხსიერების იქეთ. დაე, მომცეს უფალმა ნება, გიცქირო მანამ, სანამ არ მომწყინდები, ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩემო სიკეთის მაგალითო.

გილოცავ დედამიწის გულზე 75 წლით თბილად და წყნარად სიარულს! გევლოს მანამ, სანამ თვით დედამიწას არ დაამძიმებ.

*ოთარ ჭუმბურიძე*
შენი ძმა და მეგობარი
სტუდენტობიდან დღემდე

## ადამის მოდგმის მშვენება

ამ რამდენიმე დღის წინ ბატონი მეგლუდ ვერულაშვილი შემხვდა ქუჩაში და მითხრა:დემურ თედორაძეს 75 წელი შეუსრულდა და თუ სურვილი გაქვს საგაზეთო წერილი დაწერე. ცოტა არ იყოს, გაოგნებული დავრჩი! აუუ, რა მალე გასულა 70 წლის შემდეგ 5 წელი! რას იზამ, დრო ლაგამახსნილი ცხენივით დიდი სისწრაფით გარბის და ჩვენც კონვეირული სისტემის მაგვარად თან მივყვებით. მისი შეჩერება არავის არ შეუძლია. ადამიანებს გული დიდი გვაქვს, თითქოსდა სივრცე არ გვყოფნის და საუბედუროდ ორი მოურჩენელი ჭირი გვჭირს: გაუმაძღრობა დაბადებიდან და სიბერე მოწიფულობიდან. თანაც ერიხ ფრომის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი ეულია, რაც იმას გვაუწყებს, რომ სანამ ვართ, სიკეთე უნდა ვაკეთოდ და არა, პირიქით!

ამ ფონზე, ჩემო დემურ, ნიშანდობლივი და საამაყო ის არის, რომ შენს ლამაზ სიცოცხლეს უშურველად ახმარდი და ახმარ მხოლოდ სიკეთის მშენებლობას, ადამის მემკვიდრეობაში ყველაზე უნიკალურ ფენომენს.

ახლა კი მცირე ექსკურსი:

საიქიოს სამოთხისა და ჯოჯოხეთის ცხოვრება დანტე ალიგიერმა დახატა და შემდეგ რევაზ მიშველაძემ დაამატა საკუთრივ საიქიოს ცნება. მე კი მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების არშინით გავზომავ ჩვენს ყოფნას ამ ცოდვილიან დედამიწაზე და მოვიშველიებ გალაკტიონის სიტყვებს - "რა ბევრი არის ადამის შვილი, რა ცოტა არის ადამიანი" (დღემდე დედამიწაზე დაბადებულა 90 მილიარდი ადამის შვილი, აქედან ადამიანად მხოლოდ ერთ მილიონს ვარაუდობენ).

ჩემო დემურ, მთელი არსებით მეხალისება და მეამაყება ის, რომ შენ ადამიანად დაიბადე და ადამიანად დარჩი (არანაირი ფერისცვალება არ შეგხებია), და იმ ცოტა ადამიანებშიც სიკეთის ოაზისივით გამოიყურები, რაც შენი რაინდული სპეტაკი სულის სიდიადეზე ღაღადებს. ეს ადამიანური პარამეტრი კი გმირობის ტოლფასია, თუ მეტი არა.აქვე გენიალურ რუსთაველს მოვიშველიებდი - „მზე ვარდსა და ნეხვსა თანაბრად მოეფინებისო", ბრძანა მან, რამეთუ დედამიწას ერთი მზე ანათებს და ყველას თანაბრად. მაგრამ მას, რომ ეთქვა ვარდი და ნეხვი ერთი და იგივეაო, მაშინ ადამის მოდგმის არსებობას დედამიწაზე აზრი არ ექნებოდა. ასე, რომ დასკვნა ლოგიკურია, ვარდი და ნეხვი დიამეტრალურად განსხვავებული ცნებებია (კატეგორიებია). აქედან გამომდინარე რა უნდა ინატრო იმაზე მაღალი ჯილდო,რომ ეკუთვნოდე ვარდის კატეგორიას არა საკუთარი შეფასებით, არამედ საზოგადოების აზრით.

მაშ, ვარდის ტოლფასად მიჩნეულო ადამიანო, მთელი არსებით მოგილოცავ საიუბილეო თარიღს და გისურვებ მრავალ გასათენებელ სიცოცხლის ხალისით გაჯერებულ დღეს, რამეთუ ტრილიონობით გათენებულ დღეს, მილიონობით გასათენებელი ადამიანური ღირსებებით შემკობილი სასიხარულო დღეები ჯობია. ძმურად გეფერები და გეხვევი! კვლავაც ფართო და უგრძესი ყოფილიყოს სამომავლოდ შენი გასავლელი გზები! იმზეგრძელე მრავალჟამიერ.

*ოთარ ჩხეიძე*

# სიკეთითა და სიყვარულით სავსე კაცი

როდესაც ადამიანის მიერ გაკეთებულ სიკეთეზე და სიყვარულზე საუბრობ, რამდენიმე პიროვნება შეიძლება გაგახსენდეს, მაგრამ მათ შორის კიდევ განსაკუთრებულს გამოარჩევ და მერე ფიქრობ, რა ბედნიერია კაცი, რომელიც სხვისი სიხაულით ხარობს და მის ჭირს იზიარებს.

დღეს მე მინდა ვისაუბრო ერთ ასეთ გამორჩეული ადამიანზე, რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და დიდი გავლენა მოახდინა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადოებივად ძალიან აქტიურმა კაცმა - ირომდიონ ერემეიშვილმა, რომლის ამაგი მეც მიგრძვნია საკუთარ თავზე. იგი გაზრდილებს ხშირად გვახსენებდა საკუთარ გამოთქმას: „ტალახს მესვრიან, მაგრამ იმხელა სითბოა ჩემში, ვახმობ ამ ტალახს და ლოდებად უბრუნდებათ ჩემს ავის მსურველებს". ბატონ ირომდიონს მე დავარქმევდი ღვთაებრივ კაცს, რომელმაც შეამჩნია დემურ თედორაძის ნიჭი, ხასიათი და ბევრი კარგი თვისება.

დემურ თედორაძე პირად საუბარში ხშირად უდიდესი სითბოთი აღნიშნავს, როგორ გავახსენდით ბატონ ირომდიონს არა მარტო მე, არამედ კურსდამთავრებულთა მთელი თაობა, რომლებსაც რამდენიმე წლის დამთავრებული გვქონდა ინსტიტუტი და სხვადასხვა რაიონში ვმუშაობდით, შეგვკრიბა ერთად, გააგრძელა ჩვენი წვრთნა და თითქმის ყველა ჩვენგანმა თავისი სიტყვა თქვა პედაგოგიურ ასპარეზზე. აი, ასეთი კაცის დალოცვილი და ხელდასმულია დემური მასწავლებელი ცხოვრების ძნელ გზაზე, ამიტომ არის ის სიკეთითა და სიყვარულით სავსე კაცი.

მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკის კათედრაზე, ახალგაზრდა კაცმა დაიწყო იმ ცხოვრებით ცხოვრება და ისეთი კეთილი საქმეების კეთება, როგორიც ეკადრება ნამდვილ ინტელიგენტ, ნიჭიერ და დიდი სიყვარულის მქონე ადამიანს. ეს ის თვისებებია, რომელიც მისი უფროსი მეგობრებისაგან უხვად დაგროვდა მასში, შემდგომ თვითონაც ლაღად გასცემდა ამ სიყვარულს და ამით უფრო მდიდრდებოდა მისი სული.

მე, როგორც მისი ყოფილი სტუდენტი, ვხედავ და ვიხსენებ საუკეთესო დამრიგებელს, მეგობარს, უდიდესი ინტელექტუალური და აკადემიური ცნობიერების ადამიანს. საოცარი იყო მისი ლექციების მოსმენა, განსაკუთრებით უყვარდა და დღესაც ასე აგრძელებს ისეთი ამოცანების ირვლივ ტრიალი, რომლებსაც გამოკვეთილად გამოყენებითი და ცხოვრებისეული ხასიათი აქვს. ოსტატურად გვასწავლიდა მათ შედგენასა და ამოხსნის ორიგინალური გზების მოძებნას. ეს თვისება მას თავისი ნიჭიერების გამო გააჩნდა და ცდილობდა ჩვენთვისაც გადამდები გამხდარიყო.

დემურ მასწავლებელს არამარტო მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები ჰქონდა მოჭარბებულად, არამედ ახალგაზრდობის წლებში ის იყო შესანიშნავი სპორტსმენი (სამჭიდელი), ამიტომ, როგორც ჩვენი ჯგუფის კურატორი, ის ცდილობდა ჩვენც აქტიურად ვყოფილიყავით დაკავებული სპორტული ცხოვრებით. მახსენდება ორმოცი წლის წინანდელი ერთი ეპიზოდი. 1977-78 სასწავლო წელს ჩატარდა შიდა საინსტიტუტო სპარტაკიადა, რომელშიც პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ჩვენმა 7706 ჯგუფმა, დღესაც ვხედავ ახალგაზრდა ჯგუფის კურატორის დემური თევდორაძის ამაყ მზერას და ყურში ჩამესმის სითბოთი სავსე სიტყვები: "ВОТ КУРАТОР РАБОТАЕТ!". ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება ამ კეთილშობილ ადამიანზე.

დღეს ჩვენ საუკეთესო მეგობრები და კოლეგები ვართ, ჩვენს ურთიერთობას ისევ ამშვენებს და ერთი წამითაც არ წაშლილა ის მთავარი, რასაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის უდთიერთობა ჰქვია. ჩვენ გვყავს საერთო აღსაზრდელები პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სადაც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან ბატონ დემურს კოლეგები და, განსაკუთრებით, სტუდენტები.

თითქმის ყოველ დღე საუბრებში ის აღნიშნავს თითოეული სტუდენტის წარმატებას. ჩემთვის დღესაც სამაგალითოა მსგავსი დამოკიდებულება სტუდენტსა და ლექტორს შორის. თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბატონი დემური თავისი არსითა და ბუნებით ასეთია და მისი ცხოვრების წესი მხოლოდ სიყვარული, პატიოსნება და კაცთმოყვარეობაა.

დემურ მასწავლებლს ყოველთვის ახასიათებდა ორიგინალური აზროვნება და ასეთად დარჩა დღესაც. ის ხშირად მეუბნება: თქვენს ფაკულტეტზე ლექციაზე რომ მოვდივარ, სიცოცხლე მიხარია, იმიტომ რომ აქ სიცოცხლე დუღს. გული სიხარულით მევსება, ამდენი სტუდენტის ნათელ სახეს რომ ვხედავო. ჩემი, მასწავლებლის გულით, ნათქვამი ასეთი შეფასება იმ საქმისა, რომელსაც ემსახურები, ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვისაც.

ჯილდოს ხსენების დროს კიდევ ერთი ეპიზოდი მახსენდება. როდესაც უნივერსიტეტიდან რამდენიმე ადამიანი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, დემური მასწავლებელმა აქაც ორიგინალურად წარმოთქვა სიტყვა და თქვა: „ძალიან დიდი მადლობა დაფასებისათვის, ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული ის არის, რომ დაჯილდოებულთა შორის სამი ჩემი ყოფილი სტუდენტია ''

ასეთი სითბოსა და სიყვარულის მატარებელია ეს დიდებული კაცი. ეს ყველაფერი თუ სისხლსა და ხორცში არ გაქვს, ისე ამის გაკეთება შეუძლებელია.

დემურ თედორაძემ თავისი ცხოვრების წესით ისე მაღლა ასწია მეგობრობის, კაცობის, სიყვარულისა და ადამიანებთან ურთიერთობის დონე, ცოტა ვინმე თუ შეძლებს მასზე გადავლებას. ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ წესიერების, სინდისის, მაღალი აკადემიური ღირსებების მატარებელ, საზოგადოების ყველა სფეროში დაფასებულ, კარგი ოჯახის მეთაურ ამ ღირსეულ კაცზე, მაგრამ აქ შევჩერდები. უდიდესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გულწრფელად მინდა მივულოცო მისი საიუბილეო თარიღი 75 წელი.

ჩემო მასწავლებელო, მათემატიკის ენაზე 75 ორი იღბლიანი მარტივი რიცხვით 7-ით და 5-ით დავწერეთ, რომელთა ჯამი არის 12. ქრისტეს თორმეტი მოწაფის ლოცვა შეეწიოს თქვენს ლამაზ ოჯახს. ღმერთმა ამრავლოს თქვენნაირი მასწავლებლები და სიყვარულის მატარებელი ადამიანები ქვეყანაზე!

*მამული ბუჭუხიშვილი*

# ომარ მინდაძე -70

დაიბადა 1947 წლის 13 მაისს ცაგერის რაიონის სოფ. წილამიერში მოსამსახურის ოჯახში. მამა ნიკოლოზ მინდაძე იყო ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარე, ხოლო დედა - პედაგოგი, საქართველოს განათლების სამინისტროს დამსახურებული მუშაკი მეუღლესთან ერთად იბრძოდა დიდ სამამულო ომში 1942-1945 წლებში. იყო ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ომარმა 1965 წელს წარმატებით დაამთავრა ცაგერის რაიონის ორბელის საშუალო სკოლა, იმსახურა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში პოლონეთის იმდროინდელ სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სწავლობდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სპეციალურ სკოლაში და ლეიტენანტის წოდებით მუშაობა დაიწყო საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში ოფიცრის თანამდებობაზე, პარალელურად სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ის პრაქტიკულ საქმიანობას არსებითად უთავსებდა შესაბამისი განათლების მიღებას და უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ასპირანტურაში, და შს სამინისტროს ორგანოებში მუშაობასთან შეთავსებით განაგრძო სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის საბუღალტრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ქუთაისის ფილიალში სამართლის საფუძვლების მასწავლებლად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, მალე მიენიჭა დოცენტის წოდება და სათავეში ჩაუდგა ქ.ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად შექმნილი იურიდიული ფაკულტეტის იურიდიულ დისციპლინათა კათედრას, როგორც პროფესორი. მან წარმატებით განაგრძო სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა და მოიპოვა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ის მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1980-1992 წლებში გახლდათ ქუთაისის ციხის უფროსი, ხოლო 2001-2004 წლებში შს სამინისტროს პოლიციის აკადემიის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის გამგე. შს სამინისტროს სისტემაში მან იმუშავა 36 წელი. არის ამავე სისტემის წარჩინებული მუშაკი, მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, შს სამინისტროს ორგანოებსა და განათლების სისტემაში წარმატებული საქმიასნობისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოებულია „ღირსების" ორდენით.

დღეის მდგომარეობით კვლავ განაგრძობს საქმიანობას ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის, სამართლისა და სოციოლურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტში, უკავია პროფესორის თანამდებობა და შემოქმედებითად ემსახურება ახალგაზრდა იურისტთა აღზრდის საქმეს.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და 8 შვილიშვილი, გამოცემული აქვს 62 სამეცნიერო პუბლიკაცია, სამი მონოგრაფია, 5 სახელძღვანელო სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართულებით. არის ენერგიული, ორგანიზებული და აქტიურ მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობაში, აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში და არის ომის ვეტერანი.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს როგორც ფაკულტეტის და დეპარტამენტის, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის.

ყველა ჩვენთაგანი დიდი სიყვარულით და მოწიწებით ვულოცავთ ბატონ ომარს დაბადებიდან 70 წლის თავს, ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს თავის ოჯახთან და კოლეგებთან ერთად.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლები*

# ქეთევან ძოწენიძე - 100



შესრულდა ასი წელი გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, შესანიშნავი პიროვნებისა და პედაგოგის ქეთევან ძოწენიძის დაბადებიდან. „ღრმად ადამიანური", „დიდად ნიჭიერი", „ბუნებით პოეტი", „ბროლივით სპეტაკი", „პირდაპირი, პრინციპული", „სრულღირსებიანი პედაგოგი", „დაუვიწყარი აღმზრდელი", „მაღალკეთილშობილების სიმბოლო", „სრულყოფილებასთან ახლოს"... – ასე მოიხსენიებენ თანამედროვენი, მეგობრები, კოლეგები, გაზრდილები ქალბატონ ქეთევანს და ეს შემამკობელი სიტყვები დაუსრულებლად გრძელდება.

ჩინებულ მეცნიერთაგან, ქართული ენათმეცნიერების კორიფეთაგან ხელდასხმული, მრავალი წელი უძღვებოდა ქეთევან ძოწენიძე ქართული ენის კათედრას ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს წლები, დატვირთული ნაყოფიერებით, შრომით, ზრუნვით, პროფესიონალიზმითა და სიახლეებით, გამორჩეულია, სანიმუშოა, მუდამ სამახსოვროა ყველასათვის, რასაც მოწმობს ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული ქართული ენის კათედრის ისტორიის ამსახველი მასალები.

ქეთევან ძოწენიძემ წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ქუთაისის, ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. „ქალბატონი ქეთევანი თავისი დამსახურების გამო მხოლოდ ქუთაისს არ ეკუთვნის..." – წერენ მის შესახებ დღესაც.

განსაკუთრებული იყო ივნისის დასაწყისი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქეთევან ძოწენიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ასოცირებული პროფესორი ლუკა დვალიშვილი. მოგონებებით გამოვიდნენ: ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი იაკობ კუჭუხიძე, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ევგენი ბლიაძე, ჟურნალისტი ნანული ცხვედიანი. უნივერსიტეტის მუზეუმის წარმომადგენელმა მიმოზა ჟორჟოლიანმა ისაუბრა ქეთევან ძოწენიძის არქივზე, რომელიც შეკრიბა და მუზეუმს გადასცა პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა. არქივში დაცულია მეტად ფასეული მასალები, მათ შორის, ქეთევან ძოწენიძის მასწავლებლების: აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას... პირადი წერილების დედნები.

საიუბილეო კონფერენციის საპატიო სტუმრებმა, ქეთევან ძოწენიძის შთამომავლებმა – უფროსი ძმის, აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის, ვაჟმა პროფესორმა ზურაბ ძოწენიძემ და უმცროსი ძმის, ალექსანდრე ძოწენიძის, ქალიშვილმა პროფესორმა ნანა ძოწენიძემ დამსწრე საზოგადოების წინაშე მოიგონეს ეპიზოდები მამიდასთან ურთიერთობიდან, ქალბატონი ქეთევანის ცხოვრებიდან.

ქეთევან ძოწენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა პროფესორმა მარინა ქაცარავამ. ღვაწლმოსილი აღმზრდელის სადისერტაციო ნაშრომი განიხილა ემერიტუსმა პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა, რომელმაც 2013 წელს ქეთევან ძოწენიძის ხსოვნას უძღვნა წიგნი „სრულყოფილებასთან ახლოს – ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე".

კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა მოხსენება უკავშირდებოდა ქეთევან ძოწენიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც გაანალიზებული იყო სხვადასხვა ასპექტით; წარმოჩენილი იყო გრამატიკული, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული, დიალექტოლოგიური, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები.

ქეთევან ძოწენიძის საიუბილეო კონფერენცია მეტად თბილ, ემოციებით გაჯერებულ გარემოში წარიმართა. ამ დღეს კიდევ ერთხელ წარმოჩინდა „დიდი ქალბატონის" ღვაწლი, დამსახურება ქართული ენის, მომავალი თაობების წინაშე, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქეთევან ძოწენიძემ სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული ენათმეცნიერების „ცის კაბადონზე". იგი მართლაც არის არა მარტო ქუთაისის, ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ მთელი საქართველოს კუთვნილება.

*ქართული ფილოლოგიის*
*დეპარტამენტი*
*ქართული ენის*
*მიმართულება*

# ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მემკვიდრეობითა და მკვეთრად გამორჩეული პიროვნული ღირსებით წარუშლელ კვალს ტოვებენ არა მხოლოდ თანამედროვეთა შორის, არამედ მისაბაძ მაგალითად იქცევიან თაობებისათვის. ჭეშმარიტად ასეთი გახლდათ ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო წ ე ნ ი ძ ე – ჩემი მასწავლებელი!

ქალბატონი ქეთევანის პიროვნებაში უხვად იყო მომადლებული განსაკუთრებული ნიჭიერება და ხალასი აზროვნება, საქმის სიყვარული და უდიდესი პასუხისმგებლობა; მეცნიერული კეთილსინდისიერება, პრინციპულობა და უანგარობა; უსაზღვრო კეთილშობილება, სულიერი სიფაქიზე და პოეტურობა, ჭარბგრძნობიერება და ზოგჯერ ბავშვური გულუბრყვილობაც კი, ანუ ჰქონდა სხვათაგან სრულიად განსხვავებული, თავისებური ხასიათი.

სტუდენტობის დროს ქეთევან ძოწენიძემ მასწავლა ქართული ენის გრამატიკა, თანვე მაზიარა ენათმეცნიერული აზროვნების საფუძვლებს, პირადი მაგალითით შემაცნობინა ადამიანთა სითბო და სიყვარული და, რაც მთავარია, ჩემში ჩამოძერწა ჭეშმარიტი მოძღვარ-მასწავლებლის სანიმუშო სახე... ქალბატონი ქეთევანის გულისხმიერება, შესაშური უშუალობა, თავმდაბლობა, მართალი სიტყვა საუკეთესო გაკვეთილი იყო სტუდენტისათვის. ყველა ვგრძნობდით, რომ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი – დედასავით მზრუნველი და ახლობელი – იმავდროულად ერთგვარად მიუწვდომელიც იყო თავისი ამაღლებულობითა და გამორჩეულობით.

დიახ, ქეთევან ძოწენიძე, თანამედროვეთაგან განსხვავებით, ცხოვრობდა უნიღბოდ და საქმიანობდა ისე, როგორც მისი შინაგანი ბუნება კარნახობდა, როგორც, მისი აზრით, უნდა ეცხოვრა ყოველ ადამიანს; არ უყვარდა ყალბი თვითრეკლამა.

ქალბატონი ქეთევანი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა უსამართლობას, მექრთამეობას, რომელსაც მეცნიერება მიაჩნდა იმ წმინდა ტაძრად, სადაც შესვლა მხოლოდ ღირსეულებს უნდა შესძლებოდათ, ბუნებრივია, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა განათლების სფეროში იმხანად გამეფებულ უკანონობას, მაგრამ იმას მაინც ახერხებდა, რომ შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ნიჭიერ „უპატრონო" ახალგაზრდებს სამეცნიერო გზის გაკაფვაში, სამომავლო ცხოვრების სწორ არჩევანში. საბედნიეროდ, მან მართლაც გადაარჩინა ბევრი ასეთი ახალგაზრდა „დაკარგვას".

ქეთევან ძოწენიძე გახლდათ დიდებული პედაგოგი, სრულიად განსხვავებული სტილის ლექტორი. მისი ყოველი ლექცია – „შეზავებული მარილითა მადლისაითა" – გაჯერებული იყო პოეზიის სურნელით; „მშრალ გრამატიკას" – მუდამ ანედლებდა პოეტური მუხტით შეკრული საკუთარი სულიერებით. ამ გულისხმიერი აღმზრდელისა და საუკეთესო ლექტორის მადლი ბევრ ჩვენგანს გამოჰყვა ცხოვრების საგზლად, იმედად, შთაგონების წყაროდ და იმავდროულად უჩინარ მსაჯულად (ბედნიერი ვარ, რომ არასოდეს მიღალატია მისეული პრინციპებისათვის).

კიდევ უფრო სხვა ხიბლითა და სიფაქიზით შემოვიდა ჩემს სულში ეს მშვენიერი ქალბატონი წლების შემდეგ, როცა მოგვიანებით მომეცა შესაძლებლობა, გავცნობოდი მის პირად არქივს. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თანამედროვე საზოგადოებამაც უნდა გაიცნოს ამ გამორჩეული პიროვნების შედარებით ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრების ეპიზოდები, თავადაც აღიქვას მისეული თვალით დანახული სინამდვილე, ფრაზის მოქნილობა და პოეტურობა; შეიგრძნოს მისი სულის წუხილი და, რაც მთავარია, მისგან ბევრი რამ კიდეც გაითავისოს.

აღმოჩნდა, რომ ქეთევან ძოწენიძის არქივში აღარ იყო შემონახული ზოგი მასალა, მაგალითად, საიუბილეო თუ ამგვარ ღონისძიებებზე წარმოთქმული სიტყვები, მოგონებები; მასწავლებლების – აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვა ცნობილ პიროვნებათათვის გაგზავნილი მისი პირადი წერილები და ა.შ., რომელთა არსებობას აშკარად ადასტურებდა მეცნიერის არქივში დაცული ზოგიერთი მასალის შავი პირები ან მათი ცალკეული ნაწილები, მინაწერები... აგრეთვე მიხეილ ალავიძის მოგონება – ინფორმაციები და სხვა ოფიციალური ცნობები. ამიტომ ჩემს აუცილებელ მოვალეობად მივიჩნიე, დროულად დამემუშავებინა (თემატურად დამელაგებინა) საარქივო მასალები, დამატებით შემევსო იგი ქალბატონი ქეთევანისადმი მოგვიანებით მიძღვნილი სხვა წყაროებითაც: საგაზეთო სტატიებით, მოგონებებით, თბილისისა და ქუთაისის ბიბლიოთეკა-მუზეუმების ცნობარებით, ინფორმაციებით... და ყველაფერი ეს ჩემეული კომენტარებით ერთ მთლიან წიგნად მიმეწოდებინა ფართო მკითხველისათვის, რათა ამ გზითაც ერთხელ კიდევ გამომეხატა უდიდესი მადლიერება, უანგარო სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება ჩემი ძვირფასი მასწავლებლისადმი – მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული ქალბატონისადმი. ...ასე შეიქმნა ხ ს ო ვ ნ ი ს წ ი გ ნ ი **„სრულყოფილებასთან ახლოს – ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე"** (თბ., 2013).

ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში ქეთევან ძოწენიძე ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი და გამორჩეულად მოაზროვნე მკვლევარი. ეს აღიარება მას დამსახურებულად მოუპოვა მონოგრაფიებმა თუ ცალკეულმა გამოკვლევებმა, სტატიებმა, რომლებიც უდავოდ სანდო წყარო და ანგარიშგასაწევი მასალაა სპეციალისტებისათვის.

ქეთევან ძოწენიძის პირველი მონოგრაფია **„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით"** გახლდათ ავტორის საკანდიდატო დისერტაცია (დაცვა შედგა 1950

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი მე-8 გვ.

# ასეთი იყო ქეთევან ძოწენიძე

წლის 28 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ნაშრომის ძირითადი **დასკვნები ახალი სიტყვა** იყო ქართულ ენათმეცნიერებაში. ხელმძღვანელის – აკ. შანიძის შეფასებით, „დისერტაცია ჩინებული გამოვიდა“.

ოფიციალურმა ოპონენტებმა დაწვრილებით წარმოაჩინეს საკვალიფიკაციო ნაშრომის განსაკუთრებული მნიშვნელობა და აგრეთვე დისერტანტის, როგორც მკვლევრის, „ძალა და შესაძლებლობა“: „ნაშრომის ყოველი თავი გამოუკლებლივ რაიმე ახალს და, ამდენად, დადებითს შეიცავს... მკაფიოდ ჩანს საფუძვლიანი ცოდნა მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურისა, უნარი უზადო ანალიზისა და შედეგთა განზოგადებისა და, რაც ხაზგასასმელია, უნარი მისაბაძი წერისა“ (ვ. თოფურია).

ქეთევან ძოწენიძის მეცნიერული მემკვიდრეობიდან ძველი ქართული ენის ისტორიისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი აღთქმის ძველი ხელნაწერების მომზადება სრული ტექსტის გამოსაცემად. მან წლების მანძილზე შრომატევადი სამუშაო შეასრულა: გამოწვლილვით შეისწავლა თბილისსა და ქუთაისში დაცული ეპისტოლეთა ხელნაწერები, გაარკვია მათი რედაქციული სახე, მაგრამ, სამწუხაროდ, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობითა და უამრავი საზოგადოებრივი დავალებით დატვირთულმა, სიცოცხლეში ვეღარ მოასწრო ამ საყურადღებო ძეგლის წიგნად გამთლიანება. ქალბატონი ქეთევანის გარდაცვალების შემდეგ ეს მეტად საშური სამუშაო დაასრულა პროფესორმა კორნელი დანელიამ (ქ. ძოწენიძის ყოფილმა სტუდენტმა) და 1974 წელს აკ. შანიძის რედაქციით დაიბეჭდა წიგნი **„პ ა ვ ლ ე ნ ი – პავლეს ეპისტოლეების ქართული ვერსიები"** (გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ).

ქართული ენათმეცნიერების მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი შ ე ნ ა ძ ე ნ ი – ასე უწოდეს სამეცნიერო წრეებში ქეთევან ძოწენიძის ფუნდამენტურ ნაშრომებს: **„ზემოიმერული კილოკავი“** (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბ., 1973, გვ. 564) და **„ზემოიმერული ლექსიკონი“** (თბ., 1974, გვ. 646) (რედაქტორები: არნ. ჩიქობავა, მ. ალავიძე).

ქეთევან ძოწენიძე თითქმის ოცი წელი იკვლევდა ქართული ენის იმერულ დიალექტს, ფეხდაფეხ შემოიარა ამ რეგიონის 93 სოფელი, აკვირდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებას, მაგრამ საგანგებო ყურადღება მაინც შეაჩერა ზემოიმერულ კილოკავზე, რომელიც საერთო თავისებურებით საინტერესო კვლევის ობიექტად ესახებოდა. სწორედ ზემოიმერული კილოკავის მონოგრაფიული შესწავლა გახდა მისი სადოქტორო დისერტაციის ძირითადი მიზანი.

ქეთევან ძოწენიძე წლების მანძილზე ნაწილ-ნაწილ, ცალკეული სტატიების სახით სამეცნიერო წრეებს აცნობდა ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივ გრამატიკულ მოვლენებს, რომელთა საფუძველზეც გაარკვია არაერთი საგულისხმო თეორიული საკითხი (პრობლემა). მაგალითად, მისი მართებული დაკვირვებით, იმერული დიალექტი მოიცავს არა სამ, არამედ ორ კილოკავს – ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს; შუაიმერულის ცალკე კილოკავად გამოყოფა (როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც იყო აღნიშნული) სარწმუნოდ არ მიიჩნია.

ცალკეული ნარკვევების სახით წარმოდგენილი ამ დიდძალი მასალის მონოგრაფიულად გამთლიანება ავტორმა, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო, მაგრამ ამ სახითაც ერთ წიგნად შეკრული გამოკვლევები მეტად საყურადღებო და ფასეულია ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის.

თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია აგრეთვე „ზემოიმერული ლექსიკონი", რომელიც ავტორს ხელნაწერის სახით დასრულებული დარჩა. იგი სანიმუშოა შედგენის პრინციპებით, მასალის მრავალფეროვნებით, ცალკეულ სიტყვა-სტატიათა დახვეწილი, ზუსტი განმარტებებით...

ქართულ საენათმეცნიერო წრეებში ლექსიკონს მაღალი შეფასება მისცეს: „ლექსიკონი შეიცავს 6 ათასზე მეტ სიტყვასა და გამოთქმას. ავტორმა ცოცხალი მეტყველების ამოუწურავი საუნჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა, ათასობით სიტყვა და ფორმა გადაარჩინა დაკარგვას..." (მ. ალავიძე), „დიალექტური მასალა (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური) შერჩეულია იშვიათი გემოვნებით. ლექსიკონს ახასიათებს საგანთა და მოვლენათა დეტალური აღწერა... ქ. ძოწენიძის მიერ მოპოვებული დიდძალი ზემოიმერული მასალა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სარეზერვო ფონდს გაამდიდრებს. იგი საჭირო და ფასეულია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის“ (ფრანგული ჟურნალი „ბედი ქართლისა" – „რევიუ დე ქართველოლოჟი“); ლექსიკონში გათვალისწინებულია არა მარტო თავად ავტორის მიერ შეკრებილი, არამედ სხვა წყაროებში დამოწმებული სიტყვარი... გამოცემა ცხოველი ინტერესის შემცველია... გვაწვდის ახალ ცნობებს, აზუსტებს ცალკეულ სიტყვათა არსებულ განმარტებებს. ამიტომ მთელი ეს ლექსიკური მასალა ჩვენი დ ი ა ლ ე ქ ტ ო ლ ო გ ი ი ს ძვირფასი შენაძენია (ალ. ღლონტი).

აქვე მინდა განსაკუთრებული მადლიერებითა და პატივისცემით მოვიგონო ცნობილი ენათმეცნიერი პროფესორი ლეილა კვანტალიანი – ქალბატონი ქეთევანის დისწული. სწორედ მისი უდიდესი შრომის შედეგად ქეთევან ძოწენიძის ცალკეული გამოკვლევები გამთლიანდა ორტომეულ მონოგრაფიად და შეემატა ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდს. ამ წიგნების გამოცემაში ლ. კვანტალიანის დვაწლს მაღალი შეფასება მისცა რედაქტორმა აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ.

ქეთევან ძოწენიძემ წარუშლელი კვალი გაავლო ქართველოლოგიაში. მის ნაშრომებში საჭირო მასალას იპოვის არა მხოლოდ ენათმეცნიერი, არამედ ბევრი სხვა პროფილის მკვლევარი (ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, ბოტანიკოსი და ა.შ.); ღირსსაცნობია ისიც, რომ მის მიერ ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს წმინდა ენათმეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად დამოუკიდებელი ლიტერატურული წყაროს ღირებულებაც აქვს.

ა ს ე თ ი გ ა ხ ლ დ ა თ ჩემი მასწავლებელი – ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო წ ე ნ ი ძ ე, რომელსაც კიდევ „ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა" (არნ. ჩიქობავა), თუმცა აშკარაა, რომ, რაცა თქვა, ისიც უტყუარი დასტურია მისი მრავალმხრივი მეცნიერული თვალსაწიერისა, საკითხის უზადო ანალიზისა.

**და ბოლოს:** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქეთევან ძოწენიძე თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობითა და უმწიკვლო სახელით ამშვენებდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს, მისი მადლი დღესაც ასაზრდოებს ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის საქმიანობას.

სამწუხაროდ, ქალბატონი ქეთევანი ნაადრევად შეუერთდა ზეციურ საუფლოს, თავად ვერ იხილა ცოტა მოგვიანებით მისი ნიჭისა და შრომის დამფასებელთა ძალისხმევით თბილისში წიგნებად გამოცემული თავისი სოლიდური ნაშრომები: „ზემოიმერული კილოკავი“, „ზემოიმერული ლექსიკონი“ „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“. დასანანია, რომ ამ წიგნების გვერდით დღეს არ დევს მეცნიერის პირველი მონოგრაფია „სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით“ – ძველი ქართული ენის ისტორიისათვის ეს მეტად ფასეული გამოკვლევა, რომელიც საკანდიდატო დისერტაციის სახით დაცულია მხოლოდ საარქივო ფონდში და ბუნებრივად მიუწვდომელია ფართო მკითხველისათვის, პირველ რიგში – სტუდენტებისათვის. ამიტომ სასურველია და საჭიროც (!) ამ საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იზრუნოს ხელნაწერის უფლებით შემონახული ამ ნაშრომის წიგნად გამოცემაზე. ეს იქნება ჩვენი ღირსეული და ამაგდარი წინაპრის ნათელი ხსოვნის პატივგება და, რაც მთავარია, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურის ფონდს წიგნის სახით კიდევ ერთი კარგი მონოგრაფია შეემატება.

*ჟუჟუნა ფეიქრიშვილი*

# დიდი მადლობა ყველაფრისათვის!

რაც დრო გადის, ქეთევან ძოწენიძის პიროვნება სულ უფრო განზოგადებულ ხასიათს იძენს. იგი იყო სიკეთის, სიწმინდის, სიმართლის სიმბოლო.

თავისი მეცნიერული და პიროვნული ღირსებით ის იყო ეტალონი ისეთი აღმზრდელისა, რომლის დავიწყება არ ძალუძს არც მის კოლეგებს, არც მის ყოფილ სტუდენტებს, ახლობლებს.

ხანმოკლე იყო ქეთევან ძოწენიძის სტუმრობა ამ წუთისოფელში. 53 წლისაც არ იყო, რომ გარდაიცვალა. მაშინ შემოდგომა იყო, ქალაქი შეშფოთდა, ჩემს ქალაქს დააკლდა ინდივიდუალობით გამორჩეული მეცნიერი.

პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი დაიძაბა, იყო გლოვა, კოლეგები, სტუდენტები ასე უბრალოდ ვერ შეელეოდნენ ქეთევან ძოწენიძეს. გამოსვენების დროს ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, უკანასკნელი პატივი მიეგო საამაყო პიროვნებისათვის. სტუდენტთა სახელით გამოსათხოვარი სიტყვა მისმა სეხნიამ ქეთევან დეკანოზიშვილმა წარმოთქვა. სამწუხაროდ, დღეს არც ქეთევან დეკანოზიშვილი არის ჩვენს გვერდით. გამოჩენილმა პოეტმა ლილი ნუცუბიძემ ყველას სათქმელი გამოხატა

*„შენ ალბათ ქვეყნად*
*მოხვედი ადრე,*
*ძალიან გვიან მოხვედი ადრე,*
*სწორედ ამიტომ არავის ჰგავდი,*
*სწორედ ამიტომ არავინ გგავდა,*
*ბედნიერება თუ არის ცრემლში*
*და მოგონება – თუა სიმაღლე,*
*შენ ცოცხლობ მაშინ".*

მე მქონდა ბედნიერება, მომესმინა ქეთევან ძოწენიძის ლექციები: მწყობრი, თანამიმდევრული, ნათელი, ილუსტრირებული გემოვნებით შერჩეული მაგალითებით.

შემდეგ უკვე მისი კოლეგა გავხდი. კათედრის წევრებთან ყოფნა მისთვის ბუნებრივი გარემო იყო, სადაც ლაღად გრძნობდა თავს. სხვადასხვა თაობის ადამიანები ქალბატონი ქეთევანის ხელმძღვანელობით ერთ გუნდს წარმოადგენდა. მასთან ყოფნა უკვე წარმატება იყო. ქეთევან ძოწენიძე არ იყო რიგითი, როგორიც არის უმეტესობა. ის იყო გაბედული, უშიშარი, პირდაპირი, მაგრამ ადამიანური სითბო ეტყობოდა მის ყოფას, ადამიანებისადმი დამოკიდებულებას.

30 წელი დაუღალავად ემსახურა ქართული ენის საკითხების შესწავლას.

ქალბატონ ქეთევანს გამოქვეყნებული აქვს შრომები აკ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, ი. ჭავჭავაძის, დ. გურამიშვილის ენის შესახებ. იგი წარმატებით ამტკიცებდა, რომ მწერალია ის შემოქმედი, რომელიც ქმნის თავისებურ ენობრივ სამყაროს. ამ სამყაროს მრავალი ნიუანსი აქვს, რომლითაც იგი გამოირჩევა. ქეთევან ძოწენიძე წარმატებით იკვლევდა, რატომ, როგორ იყენებდა ენა თუ ის მწერალი ენობრივ საშუალებებს და რამდენად აღწევდა მიზანს.

მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ „სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა მიხედვით", ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ზემოიმერული კილოკავი" ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ქეთევან ძოწენიძე თავისი წყობით რომანტიკოსი იყო. ეს თვისება სხვაგვარი სხივით აშუქებდა მის ლექციებს.

სევერიან ისიანი ქალბატონი ქეთევანის წერილებს პოეზიას უწოდებდა. გამოჩენილი მწერალი ლევან გოთუა აღფრთოვანებული იყო თავისი ნაწერების ფილოლოგიური კვლევით.

სრულიად გამორჩეული იყო ქალბატონი ქეთევანის დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი. უცნაური შუქით აენთებოდა ლამაზი თვალები, როცა გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას შეხვდებოდა. მას უყვარდა ყველა, არა მარტო ის, ვინც ქართული ენის გრამატიკის კანონებს ეუფლებოდა, არამედ ვისაც უყვარდა პოეზია, ჰქონდა მსახიობის ნიჭი, აზროვნებდა გამორჩეულად.

მას არასოდეს ავიწყდებოდა დღესასწაულები და მისალოც ბარათებს უგზავნიდა მისთვის საყვარელ სტუდენტებს, ახალგაზრდებს. უფრო მეტიც, კოლეგებს ხშირად სახლში სადილად გვეპატიჟებოდა. ეს იყო მაგალითი იმისა, როგორ უნდა გვეცხოვრა, ჩვენც ვცდილობდით ისე მოვქცეულიყავით, რომ მისგან შექება დაგვემსახურებინა.

დიდი დრო გავიდა, რაც ჩვენი მასწავლებელი დაგვშორდა, მაგრამ მისი მოგონება არ იჩრდილება, პირიქით, ახლა უფრო გვჭირდება ასეთი პიროვნება – სიკეთის, სილამაზის, პრინციპულობის განსახიერება.

მხოლოდ ასეთი პიროვნებების მსგავსნი სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას. ჩვენს უნივერსიტეტს ვუსურვებ ქეთევან ძოწენიძის მსგავსნი ბრწყინავდნენ, მოღვაწეობდნენ მის კედლებში.

მე კი ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ცხოვრების დიდ შარაგზაზე ღმერთის ნებით შევხვდი მას, მესმოდა მისი ღრმა, ჭკვიანური თბილი სიტყვები. საუკუნო დიდება მის სახელს!

*მარინა ქაცარავა*

# ქალბატონი ქეთევანი - სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი

ქალბატონი ქეთევან ძოწენიძის საიუბილეოდ, უპირველეს ყოვლისა, გავეცანი ყველა იმ ბეჭდურ პროდუქციას, რაც მას შეუქმნია და შემდგომ – იმ წერილებს, რომლებიც ქ-ნ ქეთევანზე დაწერილა. თავის დროზე ესენი წაკითხული მქონდა, მაგრამ ახლა, მაინც, გულმა არ მომისვენა. მე, როგორც ქ-ნი ქეთევანის სტუდენტს, ჩემეული შეხედულებაც კი მქონდა მასზე. მიყვარდა მისი პოეზიანარევი ლექციები. ახლაც მახსოვს ნაწყვეტები ლექსებიდან, რომელთაც ის მარტივი თუ შერწყმული, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი თუ შერეული სახის რთული წინადადებების ახსნის დროს მაგალითებად მოგვიყვანდა. მართლაც, რა უნდა უთხრა სტუდენტს რთული თანწყობილი წინადადების ასახსნელად უკეთესი, ვინემ ეს ნაწყვეტია:

„სად იცის მიწამ ასე სუნთქვა,
ცამ – ლაჟვარდები
და გაზაფხულმა ახავერდება,
რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე
ვარდები,
ხარობს გული და აღარ ბერდება?“

ან კიდევ:

„განთიადია, ქარი ხევში ნისლებს
მიდენის
და მოჩანს მთების მხარგაშლილობა,
რა დიადია, რა ძვირფასი,
რა მიმზიდველი
ამ ბუნების და ხალხის შვილობა“.

როცა სევერიან ისიანის ამ სტრიქონებს ვიხსენებ, გული სიამოვნებით მევსება და სიამაყით მიცემს. მე იმ ქვეყნის შვილი ვარ, სადაც ასეთი ლამაზი ბუნებაა, მე იმ ქვეყნის შვილი ვარ, სადაც ასეთი ლამაზი ვარდებია, სადაც ცას სულ სხვა ფერი აქვს და გაზაფხულის მშვენიერებას ენა ვერ აღწერს. დღეს, როცა ჩემში შეხედულებები შეიცვალა, ცხოვრებას სულ სხვა თვალით ვუყურებ და ყველაფერი გადაფასდა, ამ სტრიქონების გახსენებით მაინც აღფრთოვანებული ვარ და რა გრძნობა მექნებოდა სტუდენტობის დროს, 18-19 წლის ასაკში, როცა ამ და ამდაგვარი ლექსების გარეშეც გული მწყდებოდა, რამდენი ღამე თეთრად გამითენებია, რამდენი ცრემლი დამიფრქვევია, რატომ არ ვიყავი თინა იოსებიძე, ზოია კოსმოდემიანსკაია, შოთა გამცემლიძე ან სხვა რომელიმე გმირი, რომ ჩემი სიცოცხლეც, მათს მსგავსად, უშურველად შემეწირა ჩემი სამშობლოსათვის. ასეთი ლექსების მოსმენას კი მთლად ბედნიერების ზენიტში ავყავდი და დღეს სინანულით ვიხსენებ გაფრენილ დღეებს, თვეებს, წლებს, რომლებიც აღარასოდეს განმეორდება.

ქ-ნი ქეთევანი და ამ ლექსების ავტორი სევერიან ისიანი თანაკურსელები იყვნენ, ისინი მეგობრობდნენ, წერილებსაც სწერდნენ ერთმანეთს. ცნობილია ფრონტზე მყოფი პოეტისადმი ქ-ნი ქეთევანის გაგზავნილი ბარათი, რომელსაც პოეტის სულიერი აღმაფრენა გამოუწვევია და რომელსაც ის გულის ჯიბეში ინახავდა. აი, ამ სევერიან ისიანის ლექსებიდან ტაეპებს მოიშველიებდა ქ-ნი ქეთევანი რთული სინტაქსური კონსტრუქციების ასახსნელად და ამით უმეკვიდრეოდ დარჩენილი და ფრონტზე გარდაცვლილი 30 წლის პოეტის სიცოცხლეს ახანგრძლივებდა (ცნობილია, რომ ერთადერთი შვილი თამაზი პოეტ სევერიან ისიანს ფრონტზე წასვლამდე გარდაეცვალა).

აქ მხოლოდ სევერიან ისიანის მაგალითი მოვიყვანე. თავის ლექციებს ლექტორი ასევე ამშვენებდა სხვა მწერალთა შემოქმედებიდანაც. „ქ-ნი ქეთევანი გრამატიკას ნიადაგ პოეზიით ათბობდა და პოეზიით მკურნალობაც სწამდა. სტუდენტებიც გატაცებით უსმენდნენ, ხიბლავდათ მისი საუბარი“, – წერს ბ-ნი მიხეილ ალავიძე.

„ლიტერატურის არც ერთი ლექცია არ იწვევდა პოეზიის ისეთ დღესასწაულს, როგორსაც ქ-ნი ქეთევანის ლექციები,“ – წერდა 1997 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ქ-ნი ქეთევანის ერთ-ერთი სტუდენტი ლეილა თეთრუაშვილი. ამ მოსაზრებას მე, პირადად, დავამატებდი: ქ-ნი ქეთევანი ქართული ენის სინტაქსის შესწავლის პროცესში არ ივიწყებდა, პატივს მიაგებდა და იხსენებდა ომში დაღუპულ თანაკურსელ – სევერიან ისიანს, გვაყვარებდა არა მარტო ამ პოეტის ლექსებს, არამედ, საერთოდ, პოეზიას, გვიღვივებდა სამშობლოს – საქართველოს სიყვარულს, გვზრდიდა პატრიოტებად და ბოლოს, უთქმელად, მეთოდურად, მუშაობდა ჩვენთან – მომავალ მასწავლებლებთან, გვასწავლიდა, როგორი წინადადებები შეგვერჩია მომავალში ჩვენი პატარა მოსწავლეებისათვის, რომ მათაც ისევე შეყვარებოდათ პოეზია, მშობლიური ენა, სამშობლო, როგორც ჩვენ გვიყვარდა იმ მომენტში, როცა ქ-ნი ქეთევანის ლექციებს ვისმენდით.

გრამატიკის კანონების ასახსნელად გამოყენებული ლადო ასათიანის, სევერიან ისიანის, სერგო დიდიძის, მირზა გელოვანისა და იმ პერიოდის ახალგაზრდების ლექსები დიახაც სასიამოვნო მოსასმენი იყო და არის დღესაც. ხომ შეიძლება ისინი მეც გამოვიყენო ჩემს მეცადინეობებზე, მაგრამ არა, ამას ვერც გავბედავ, თუმცა ხშირად მახსენდება შესაბამისი თეორიული მასალის ახსნის დროს. მიმაჩნია, რომ ისინი ქ-ნი ქეთევანის საკუთრებაა. მე, პირადად, ჩვენი თანაქალაქელი პოეტის, ზურაბ კუხიანიძის პატრიოტული ლექსებიდან ვარჩევ საილუსტრაციო მასალას. ასევე მომწონს ბევრი სხვა პოეტისა და მათ შორის ჯანიკო გაბუნიასა და ლადო ასათიანის პრემიის პირველი ლაურეატის, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ ომარ გვეტაძის სიყვარულის თემაზე შექმნილი ლექსები და მათი წარმოთქმისა და ანალიზის დროს ჩემი სტუდენტებიც ისევე სულგანაბული მისმენენ, როგორც ჩვენ ვისმენდით ქ-ნი ქეთევანის ლექციებს. პრაქტიკულ მეცადინეობებზე კი არ წყდება მაინორის სპეციალობის ჩემი სტუდენტების: სოფიო მჟავიასა (ამჟამად რუსული ენის დეპარტამენტის თანამშრომელი) და მარიამ ავალიანის, მერი ბურჯანაძისა და ნანო მელიას, ლელა კოხრეიძისა და ხატია სახელაშვილის, თორნიკე კვირიკაშვილისა და მარიამ კახაძის, ანა ენუქიძისა და თეონა ჭეიშვილის, გვანცა ციბაძისა და სხვათა მერხებიდან წამოძახილები: კიდევ ჩაგვაწერინეთ, ქალბატონო, კიდევ გავარჩიოთ, პატივცემულო... გთხოვთ, სახლში გასარჩევადაც თქვენ მოგვაწოდეთ წინადადებები... თვალწინ მიდგას ამ სტუდენტთა სიყვარულით სავსე სახეები, რომლითაც შემომცქერიან. ვატყობ, დღევანდელ ახალგაზრდებს უჩნდება სურვილი, კიდევ მეტი მოისმინონ ლამაზი სტრიქონები, კიდევ მეტი ჩაიწერონ სავარჯიშო მასალა, რომ არა მარტო სინტაქსურ-მორფოლოგიურად გაარჩიონ წინადადებები, არამედ მიიღონ ის სულიერი საზრდოც, რომელიც ასეთი ლექსების განცდით უჩნდება ადამიანს. და ეს არის ქ-ნი ქეთევანის მიერ ათეული წლების წინ ხნულში ჩაყრილი თესლი, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო და აღმოცენდა კიდევაც. ამისთვის დიდი მადლობა ქ-ნ ქეთევანს – თავის ქვეყანასა და პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, რომელიც მარტო სპეციალისტებად კი არა, პატრიოტებადაც გვზრდიდა.

*ოზოლდა რუსაძე*

# მონოგრაფია ღირსეულ მწერალზე




ახლახან ასოცირებულმა პროფესორმა ნატო გულუამ მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფია შემოგვთავაზა ლევან გოთუას მხატვრული პროზის პრობლემური საკითხების შესახებ. ეს საკითხები მართლაც რომ კარგა ხანია ელოდნენ მათი წონადობის შესაფერ გამკითხავს, სარწმუნო ხდება მონოგრაფიის გულდასმით გაცნობისას.მკვლევარი შეგვახსენებს ხოლმე ჩვენთვის კარგად ცნობილ რომანებსა და მოთხრობებს, ისევ გაგვიტაცებს მათი მხატვრული ინტერიერი, ისევ დაგვიდგება თვალწინ ბობოქარი მწერლის სახე, მისი პერსონაჟების მრავალფეროვანი გალერეა, ისევ და ისევ წამოიმართება ლევან გოთუას მონუმენტურობა, მაგრამ უფრო მეტი ინტერესი აღგვეძრება, როცა მწერლის მხატვრული დიდოსტატობისა და ქვეტექსტური აზროვნების არაერთ ახლებურ ნაკადს წავაწყდებით, ზოგ შემთხვევაში არა მხოლოდ ნაკადს, უფრო მეტი დატვირთვის მქონე მდინარებასაც, მკვლევრის გამორჩეულმა შესაძლებლობებმა რომ მიაგნეს და მართლაც მეტი მასშტაბი შესძინეს ლევან გოთუას შემოქმედებით დიაპაზონს, უფრო მეტი სიღრმით წარმოჩინდა ამ მწერლის მხატვრული გამიზნულობა და იშვიათი ეფექტები.

ლევან გოთუა არ მიეკუთვნება ე.წ. მძიმე სტილის მწერლებს. მისი ყოველი სტრიქონი და ფრაზა ლაღი, ბუნებრივი და გადაუტვირთავია , მისი ქართული საკითხავადაც, მოსასმენადაც საამოა, მისი თემატიკაც თითქოს ახლობელია თავისი ეროვნულობით, ჩვენებური სიყვარულითა და მონატრებით, სინანულითა და მოწყურვილებით აღსავსე, არ გღლიან მისი რომანები, ნოველები, პიესები, არ გღლიან და ნელ-ნელა შემოდიან შენს სისხლში, ნელ-ნელა გამხურვალ-გასისხლიანებენ, ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ამუშავდება მწერლური ცეცხლის იდუმალი ძალოვანება, ამუშავდება და გაგახვევს კიდეც თავის ცეცხლში. თუ როგორ ხდება ეს, თუ როგორ, რა საშუალებებით ახერხებს ამას მწერალი, სწორედ ესაა მოთხრობილი ჩვენი კოლეგას ნაშრომში, მოთხრობილი მაღალი პროფესიონალიზმითა და დროში გამძლე მიგნებებით, თანაც ისე კარგი ქართულითა და ფრაზეოლოგიური სიცხადით, როგორც ლევან გოთუას ეკადრება.

ვემადლიერებით ავტორს ასეთი კარგი საჩუქრისათვის, ხოლო მკითხველს ვთხოვთ გამონახოს დრო, წაიკითხოს ნატო გულუას მონოგრაფია იმ იმედით, რომ ჩვენს მოსაზრებებს მალე შემოუერთდეს.

*გია ხოფერია*

# თეიმურაზ ლანჩავა - ჩემი სტუდენტობის მეგობარი

***ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, თეიმურაზ ლანჩავას, ვულოცავთ 70 წლის იუბილეს და ვეხმიანებით ამ სასიამოვნო მოგონებებით:***



ჩემო თემურ, საყვარელო ძმაო და მეგობარო!

ვისაც შენი მოსვლა არ დაუნახავს 2017 წლის 10 მაისს ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ, დრამატულ თეატრში შენს 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო, შემოქმედებით საღამოზე, მან არ თქვას, ამ ღონისძიებას ვესწრებოდიო. თეატრის ფართო, მრავალსაფეხურიან კიბეზე კარების გაღების მოლოდინში შენი ნიჭის თაყვანისმცემელთა „არმია“ იდგა. ჯერ სტუმრების თეატრში შეშვება არ დაწყებულიყო. ამ დროს მოედანზე, თეატრის წინ, მანქანიდან გადმოსვლისთანავე, ხელაწეული, რა ლამაზად მიესალმე ყველას, ზუსტად ისე, როგორც მოსაწვევზეა. კიბეზე ასვლის პროცესში ტანის მოძრაობით, მიხრა-მოხრით, ჟესტ-მიმიკით, მადლობა გადაუხადე შენს დასაფასებლად მოსულ საზოგადოებას, რომელმაც გამოჩენისთანავე დაგიკრა მქუხარე ტაში. ეს ერთხელ კიდევ შენს კარგ ადამიანობაზე, თავმდაბლობასა და შენი და ხალხის ურთიერთსიყვარულზე მეტყველებს. აი, ასეთი მშვენიერი დასაწყისი ჰქონდა შენს საიუბილეო საღამოს, სადაც ყველა თავისი ნებითა და სურვილით იყო მოსული და არა დავალებითა და დაძალებით, რასაც ხშირად ჰქონია და აქვს ადგილი ასეთ ღონისძიებებზე ამ ბოლო ათწლეულებში.

როგორი იყო ცნობილი ქართველი მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, გაზეთ „უქიმერიონისა“ და ჟურნალ „მერმისის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტი, ქუთაისის მერის მრჩეველი კულტურის, ხელოვნებისა და განათლების დარგში, ქუთაისის საპატიო მოქალაქეთა საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ ლანჩავა სტუდენტობის დროს?

ჩვენ ხუთ წელიწადს ერთად ვსწავლობდით ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ის იყო განსაკუთრებული... ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც მას სხვებისგან განასხვავებდა, მაგრამ ეს „რაღაც“ რა იყო, ვერც მაშინ ვგებულობდით და ვერც – დღეს. ერთი რამ კი ცხადია: თანაკურსელების გამორჩევა არ იცოდა. არ იყო უკადრისი. ყველასთან მეგობრობდა. იყო გულჩვილი, გულალალი, კეთილი... თავისი თვისებების გამო ყველას უყვარდა და თითოეული სტუდენტისთვის ცალ-ცალკე რომ გეკითხათ (გოგონა იქნებოდა ის თუ ვაჟი), ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარიო, ყოველი მათგანი, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თემურ ლანჩავას დაასახელებდა.

ბევრჯერ გავუხარებივართ. თითოეულ ჩვენგანს სამახსოვროდ აქვს თემურის მიერ მიძღვნილი სახუმარო ხასიათის ლექსი თუ ლექსები, ლექციებს შორის დასვენებებზე სახელდახელოდ შექმნილი, რომელთაც იქვე, აუდიტორიაში, შესვენებაზევე წაგვიკითხავდა, შემდეგ თავისივე ხელით გადაწერდა, ზედ ფსევდონიმსაც მიაწერდა –„თელა“ და ისე მოგვაწოდებდა ან რაიმეს ჩახატავდა ჩვენს სალექციო რვეულში (დამთავრებული ჰქონდა მაისურაძის სახელობის ოთხწლიანი სამხატვრო სკოლა). ჭირი იყო თუ ლხინი, კურსელების გვერდით იდგა, არასოდეს არც ერთ ღონისძიებას არ დააკლდებოდა და, რომ არ ველოდით, მოულოდნელად მოგვასმენინებდა მისეულ სასიამოვნო სტრიქონებს. თემურის ახალგაზრდობის დროს ჩვენზე შექმნილი ექსპრომტები, სახასიათო ლექსები არა მარტო მაშინ გვიმშვენებდა და გვილამაზებდა სტუდენტობას, დღესაც სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს და მათი კითხვა სტუდენტობის იმ განუმეორებელ დღეებს გვახსენებს.

თემურის ყოველი წინადადება იუმორნარევი იყო. ეს ხასიათი მან დღემდე შეინარჩუნა. ამ ბოლო წლებში მე და ქეთინო დეკანოზიშვილი რომ დავდიოდით მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიაში, თურმე უხაროდა და იქაურ თანამშრომლებთან სიყვარულით ამბობდა: „დეიდაჩემები მოვიდნენ“-ო (ეს ამბავი მაია მონიავამ გაგვიმხილა). ამ სიტყვებით შემოვლით გვეუბნებოდა, როგორ დაბერებულხართ და რას დამსგავსებიხართ, ჩემზე მეტად გეტყობათ ასაკიო (არადა ის ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსია). ჩვენც ეს არ გვწყინდა, პირიქით, გვამხიარულებდა, რადგანაც კარგად ვიცოდით, ეს იყო მისი ცხოვრების სტილი. სტუდენტობაში კი, რაც უნდა გულნაღვლიანი და მოწყენილი ვყოფილიყავით, თემურის ერთი სიტყვაც კარგ ხასიათზე გვაყენებდა და დარდიც ქრებოდა. ამიტომ ყველას მასთან სიახლოვე სიამოვნებდა და თემურთან მეგობრობის სურვილი ჩვენივე თანატოლებს სხვადასხვა ფაკულტეტებიდანაც კი უჩნდებოდა. ამიტომაც არიან ამ სურათზე სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებიც გამოხატულნი.

ჩვენი სტუდენტობის წლებში და მერეც კარგა ხანს პედინსტიტუტის ეზოს თავისი საქმიანობით შალვა ფოტოგრაფი ამშვენებდა. ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და გვიყვარდა სურათების გადაღება. ვთქვათ, არ გვქონდა ამ საქმის სურვილი, არაფერი გამოგვივიდოდა, რადგანაც შალვა ფოტოგრაფი სადღაც იყო ჩასაფრებული, უცებ გამოჩნდებოდა და ისე არ გადმოგვიშვებდა ლექციების დამთავრების შემდეგ პედინსტიტუტის ეზოდან, რომ არ „გამოვეჭირეთ“ და არ „ჩავეკარტიჩკებინეთ“. მეორე დღეს, დილითვე, სურათი უკვე მზად იყო.

ეს სურათი ჩვენივე ნებითაა გადაღებული. მე, თემურს და ქეთინოს გვქონდა სურვილი, ერთად აღვბეჭდილიყავით ფოტოზე, მაგრამ გადაღება ვერც მოვასწარით, ისე შემოგვიერთდნენ სხვები. სურათი რომ გამოვიხსენი, ლექციაზე ჩემ გვერდით მჯდომმა თემურმა ჩამომართვა, გადააბრუნა და თავისივე ხელით დააწერა იქვე, ლექციაზევე, ექსპრომტად შეთხზული ლექსი:



ლექსზე თემურის ფსევდონიმიცაა მითითებული. ეს იყო 1967 წელს. მაშინ პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით. მას შემდეგ 50 წელი გასულა. თემური თურმე მაშინ ნახევარი საუკუნის შემდეგ რა მოხდებოდა, იმაზედაც ფიქრობდა.

*სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: რ. ხარებავა, მ. ჩირგაძე, ნ. დვალი, ქ. დეკანოზიშვილი, თ. ლანჩავა, ი. რუსაძე და ი. ცინცაძე. 1967 წ.*

მართლაც, ბევრი თანაკურსელი დღეს ცოცხალი აღარ არის. სად არიან ჩვენი ციალა სახოკია და ლევან მაისურაძე, დემურ კირთაძე, ნაზიბროლა მამარდაშვილი და ჩემი დიდი წუხილი, ვისმა ნაადრევად გარდაცვალებამ უდროოდ დამაბერა და სიცოცხლე შემიმოკლა, ჩემი სკოლისა და ინსტიტუტის მეგობარი ქეთინო დეკანოზიშვილი. მე და ქეთინოს მოლაპარაკებული გვქონდა, ეს სურათი გაზეთ „უქიმერიონში“ დაგვებეჭდა თემურის საიუბილეოდ. „უქიმერიონი“ გამოვიდა. იქ ყველაფერი თემურს ეძღვნება, თემურზე დაწერეს რესპუბლიკურმა ჟურნალ-გაზეთებმა, ჩატარდა საიუბილეო, შემოქმედებითი საღამოც, მაგრამ მის სტუდენტობაზე, ახალგაზრდობისდროინდელ და საერთოდ ადამიანურ თვისებებსა და ამხანაგებთან დამოკიდებულებაზე ძალიან ცოტა ითქვა და დაიწერა. არადა, დღევანდელ დღეს ეს ყველაზე მთავარია. დღეს, როცა ადამიანობის დეფიციტია, ქალაქში ცხოვრობს და საქმიანობს ნამდვილი ადამიანი, რომელსაც სწორედ ხალხთან ურთიერთობა და მათთან დამოკიდებულება, ბევრი კარგი და ჰუმანური თვისება გამოარჩევს სხვებისაგან. ამიტომ ეს უნდა ითქვას. პირადად მე, არ მეგულება ადამიანი, რომელსაც თემური ჰგავდეს ან მისი მსგავსი იყოს ვინმე. ის არის სრულიად განსხვავებული. გული კი არ დამწყდა მარტო, უკმარისობის გრძნობაც გამიჩნდა და მაშინ მომაფიქრდა და მტკიცედ გადავწყვიტე, რომ გამებედა და ორიოდე სიტყვა დამეწერა მასზე. ჩემი მოსაზრება იმავე დღესვე სისრულეში მოვიყვანე, თუმცა ყველა კარგი ეპითეტი, რაც მას შეეფერება, მაინც ვერ გამოვიყენე.

– დღეს ვინ არის თეიმურაზ ლანჩავა? შეინარჩუნა ის თვისებები, რაც ახალგაზრდობაში ჰქონდა? როგორი ადამიანია ის? როგორი ურთიერთობა აქვს მას ხალხთან?

– სულითა და გულით ქუთაისელი და ამ ქალაქსა და ქვეყანაზე შეყვარებული კაცი, ვისაც შენი ყველაფერი გათავისებული აქვს: ჭირსა და ლხინში შენს გვერდითაა, სიხარული უხარია, მწუხარებით წუხს, ტკივილი ტკივა და ბედნიერებით ბედნიერია... თემური არის ადამიანი, ვისი სიტყვაც ნაღდია და მართალი, ვინც ამ სამყაროს უტყუარი თვალით უყურებს. ამიტომაცაა მისი ლექსები და მოთხრობები, ნოველები და პიესები ლაღი და უშუალო, სიმართლის პირუთვნელად ამსახველი.

ჩემო თემურ, ხომ იცი, ცხოვრება როგორია. დაძაბულია თითოეული დღე, ათასი საფიქრალი და საზრუნავი, უამრავი საქმე გვაქვს ყველას, თანაც ასაკიც მოგვეძალა და ესეც ხელს გვიშლის, ხშირად ვერ ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ ის დიდი სითბო და სიყვარული, რაც სტუდენტობის დროს ჩაგვინერგე გულში, არ გამქრალა, შენარჩუნებული გვაქვს და დღესაც ისევე გვესახელები, როგორც – მაშინ. და კიდევ, იმიტომ რომ შენ დღესაც ისეთივე ხარ – ყველა ჩვენგანის მეგობარი –საიმედო, ერთგული და სანდო, უდალატო და დასაყრდენი, სტუდენტობიდანვე შეუცვლელი. არ გაამაყებულხარ, შენს თანამდებობებსა და რეგალიებს არ გაუდიდკაცებიხარ და ზემოდან არავის დაჰყურებ. ამიტომაც შენი ყოველი წინსვლა, სიგელები თუ ოქროს ორდენები, პრემიები თუ საპატიო წოდებები, მედლები (ერთ-ერთი – ა. ს. პუშკინის სახელობის ოქროს მედალი საიუბილეო საღამოზე თავისივე ხელით დაგაბნია გულზე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ქ-ნმა მაყვალა გონაშვილმა) თუ ბოლოს რომ მოგანიჭეს საქართველოს სახალხო მწერლის ტიტული, გჯეროდეს, რომ გულით მახარებს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც არის ხალხის სიყვარული, რაც შენ უხვად გაქვს. „ამაზე მეტი რაღა ინატროს კაცმა“.

გილოცავ დაბადების დღეს. კიდევ ბევრი ასეთი დღე მომელოცოს. იყავი ჯანმრთელად. შენს გადადგმულ ყოველ ნაბიჯს გაუმარჯოს, მრავალჟამიერ!

***იზოლდა რუსაძე,***

*1*

# ნინო ვაშაყმაძის გახსენება

მიმდინარე წლის 24 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს 49 წლის ასაკში გამოაკლდა ქალბატონი ნინო ვაშაყმაძე. იგი დაიბადა 1968 წლის 27 მაისს, ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1985 წელს დაამთავრა ქვედაგორის საშუალო სკოლა. 1986 წლის აგვისტომდე იქვე მუშაობდა მხატვრული წრის ხელმძღვანელად. 1986 წლის სექტემბერში ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1991 წელს ნინო ვაშაყმაძეს ისტორიკოსის, ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიენიჭა. იმავე წლის 15 ოქტომბრიდან დაინიშნა ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიისა და პოლიტიკური ისტორიის კათედრის ლაბორანტად, ხოლო 1992 წლის 9 სექტემბრიდან 2001 წლის იანვრამდე – იმავე კათედრაზე, ასისტენტად. 1993-1996 წწ. და 2002 წელს სწავლობდა თსუ ასპირანტურაში. 1996 წლის 20 სექტემბრიდან ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის გაერთიანებული კათედრის, ხოლო 1999 წლის 4 ოქტომბრიდან საქართველოს ისტორიის კათედრის ასისტენტია. 2001 წლის 29 ოქტომბერს ნ. ვაშაყმაძემ თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 2002 წ. სტუ პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. 2004-2006 წლებში ამავე უმაღლეს სასწავლებელში იყო პოლიტიკური მოძღვრების, საქართველოს ისტორიისა და სამართლის კათედრის დოცენტი. 2006 წლიდან მუშაობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების ასოცირებულ პროფესორად.

2002 წელს ნინო ვაშაყმაძემ ცალკე წიგნად გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი: „სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში", სადაც მკვლევარი ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს საარქივო დოკუმენტებს, პერიოდულ პრესასა და სხვა სახის მასალებს. ავტორის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული საკითხის გადასაჭრელად ისტორიულ პრინციპს იშველიებდა, ხოლო სომხეთი - ტერიტორიის გაფართოების თვალსაზრისით მისთვის ძალზე მომგებიან ეთნიკურ პრინციპს. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიის გავლენის სფეროებად გაყოფა საბოლოოდ 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულებით იქნა გაფორმებული. 2003 წელს ნინო ვაშაყმაძემ სტუ არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის ცალკე წიგნად გამოსცა სახელმძღვანელო „კულტუროლოგია". ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. მასში მოცემულია მსჯელობა შემდეგ საკითხებზე: კულტუროლოგიის საგანი და რაობა, კულტურის სტრუქტურა, მასობრივი და ელიტარული კულტურა, კულტუროლოგიის ძირითადი სკოლები და კონცეფციები, ორგანიზაციული ანუ სამეწარმეო საქმიანობის კულტურა, პირველყოფილი (პრეისტორიული) საზოგადოების, ძველი აღმოსავლეთის, ძველი ბერძნული, ძველი რომის, დასავლეთ ევროპის ადრეული და კლასიკური შუა საუკუნეებისა და აღორძინების პერიოდის, არაბული აღმოსავლეთის, განმანათლებლობის ეპოქის დასავლეთ ევროპის, მეოცე საუკუნის მხატვრული კულტურა, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის საკითხები. 2009 წელს გამოქვეყნდა ნინო ვაშაყმაძის წიგნი „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა" (რედაქტორი პროფესორი ვალერი სილოგავა). ნაშრომში მკვლევარი მიმოიხილავს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს აღნიშნულ სფეროში, წყაროთმცოდნეობის ზოგადთეორიულ პრობლემებს. სალექციო კურსში კონკრეტული წყაროები დალაგებულია სახეობრივი და ქრონოლოგიური პრინციპით და როგორც „წინათქმაშია" აღნიშნული, „მასში აქცენტები გაკეთებულია როგორც ზოგადთეორიული, ისე კონკრეტულ-პრაქტიკულ მიმართულებებზე".

2014 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა ნინო ვაშაყმაძის ნაშრომი - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წლებში) და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა". მდიდარმა, მრავალფეროვანმა ისტორიოგარფიულმა და წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ მკვლევარს მისცა შესაძლებლობა ღრმად გაეანალიზებინა სოციალიზმის მოძღვრების აღმოცენების ისტორია და მისი პოლიტიკური ფორმების საკითხი. წიგნში მოთხრობილია სოციალიზმის აღმოცენების პროცესში ქართული სოციალ-დემოკრატიის როლსა და ადგილზე. აღნიშნულია, რომ სოციალისტური დოქტრინის გავრცელება საქართველოში XIX ს-ის 90-იანი წლებიდან იწყება, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა „მესამე დასი". ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი და მიხა ცხაკაია. ნაშრომში მკვლევარი ვრცლად მოგვითხრობს 1920 წლის 14 სექტემბერს II ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის ისტორიას, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ისტორია ავტორის მიერ გაანალიზებულია ახლად გამოვლენილი წერილობითი წყაროების, სამეცნიერო და ემიგრანტული ლიტერატურის საფუძველზე.

ნინო ვაშაყმაძე იყო მონაწილე არაერთი საერთაშორისო, რესპუბლიკური თუ ინტერდისციპლინარული რეგიონალური სამეცნიერო კონფერენციისა, სადაც მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს მაღალი აკადემიური დონე და საკვლევი საკითხის ღრმა ცოდნა, მასალის ნიჭიერი ანალიზი გამოარჩევდა.

იგი სამ ათეულზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მან იმთავითვე სამეცნიერო დაინტერესების სფეროდ საქართველოს უახლესი ისტორიის მეტად პრობლემური, კარდინალური საკითხების კვლევა დაისახა. ცალკეული გამოკვლევებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს: „სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაში 1918 წლის მაისიდან დეკემბრამდე", „სომხეთ-საქართველოს ომი 1918 წლის დეკემბერში", „ლტოლვილ სომეხთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში", „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემო პერიოდული პრესის ფურცლებზე", „1917 წლის ოქტომბრის რუსეთის რევოლუცია და ქართული სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა", „პირველი საბჭოთა არჩევნები ქუთაისის მაზრაში (1922 წლის თებერვალი)", „სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა სადავო ტერიტორიული პრობლემების ურთიერთშეთანხმების გზით გადაწყვეტის მცდელობა 1918-1920 წლებში", „რამდენიმე დოკუმენტი საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შესახებ", „II ინტერნაციონალი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში", „საბჭოთა ხელისუფლების პირველი ეტაპი ქუთაისის მაზრაში", „რუსეთის საოკუპაციო ჯარები ქუთაისის მაზრაში 1921 წელს", „თანამედროვე ელექტრონული რესურსები და მათი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის", „ისტორიული წარსულის ზოგიერთი დოკუმენტი თანამედროვე მოვლენების შუქზე", „საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება სვანეთში" და სხვ.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობას, ჯერ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობდა სასწავლო კურსებს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, ლექციებს წყაროთმცოდნეობაში, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში, თანამედროვე ქართულ წყაროთმცოდნეობაში, ზოგად კურსს საქართველოს ისტორიაში და ზრდიდა სტუდენტებს სამშობლოს გმირული ისტორიის მაგალითებზე.

ნინო ვაშაყმაძეს მრავალი საინტერესო სამეცნიერო ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. უკურნებელი სენით შეპყრობილი მეცნიერის სულმა 2017 წლის თებერვალში იმიერ ქვეყანაში გადანაცვლების შემდეგ ჰპოვა მარადიული სიმშვიდე, ჩვენ კი დაგვიტოვა გაუხუნარი მოგონებები, პატივისცემა და სიყვარული. დაგვიტოვა მოკრძალებული შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის ქარცეცხლიანი ეპიზოდებით აღსავსე, უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი და ფართო მკითხველი საზოგადოება.

*კახაბერ ქებულაძე*
**ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის სახელით**

# „ცვრიანი სიტყვის" პოეტი

(ვუძღვნი 100 წლის ლადო ასათიანს)

ყველაზე დიდმა დაუზოგავმა და მოუსყიდველმა შემფასებელმა - თითქმის საუკუნოვანმა დრომ ნათელყო ლადო ასათიანის აღზევებული პოეტური სულის უკვდავება. ვერავითარმა ქარტეხილმა, ვერავითარმა ჯებირმა ვერ შეაჩერა ამ სულის მძლავრი დინება და იგი სრულიად განკურნებულ ლადო ასათიანის სხეულთან ერთად თაობიდან თაობაში ინაცვლებს.ვინმესაც კი, გაუგონარი სიცივეს მქონეს, ოდნავადაც რომ არ გაჰკარებია მხატვრულ ლიტერატურას, ლადო ასათიანის ერთი ლექსი, თუნდაც ამღერებით თავისთავად შემართული, შეუძლებელია არ მოეპოვებოდეს ჩამახსოვრებული ტვინის ათეულ მილიონობით გამოუყენებელ უჯრედებში.

დიდად იშრომა ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ ლადო ასათიანის ლექსის პოეტიკურ და მხატვრულ-ესთეტიკურ თვალსაჩინოებათა გამოსავლენად, არაერთი ლიტერატურული თავყრილობა მიეძღვნა ამ კეთილშობილურ საქმეს, ვინ მოთვლის, დაწერითაც რამდენი დაიწერა, თანაც საყურადღებო, საბუთიანი, დამაჯერებელი... ასეც უნდა მომხდარიყო, თუმცა იმდენად სწრაფად მოხდა ლადო ასათიანის არაერთი ლექსის გაფესვიანებაცა და აშოლტილობაც, იმდენად მყარად მიერთდა მისი კაპილარები სხვადასხვა დროის სოციუმთან,უმეტეს შემთხვევაში, პროფესიონალი მკვლევარებიცა და მოყვარულებიც პერიოდიკისა და სამაუწყებლო საშუალებათა რეპორტიორების როლში აღმოჩდნენ.

ლადო ასათიანის ლექსმა დაბადებისთანავე თვითონ გაიკაფა გზა.მას არასდროს დასჭირვებია ჯერ ოჭივარში ფეხადგმა და შემდეგ, თუნდაც ოდნავ ხელის კვრით, წათამამება წელში გასასწორებლად.იგი ქართული სისხლის ბუნებრივი მადანი გახლავთ, აუცილებლად ქართული ხასიათებითა და ტემპერამენტით რომ უნდა ამოხეთქილიყო ქართველში, უზომო გულის ქართველში, ყოველგვარი მინარევების გარეშე. ეს იღბალი ღმერთმა არგუნა ქუთაისშიცა და თბილისშიც ძერჟინსკის ქუჩებზე მდებარე „ასანთის კოლოფებში" მცხოვრებ ლადო ასათიანს.

აქვე ვიტყვი - ამ „კოლოფების" ტყვეს მხოლოდ უკიდურესი მატერიალური გაჭირვება, მომძლავრებული ჭლექი ან ახლადწამოჩიტული მტრების სისინი ვერ მისცემდა საკმარის სტიმულს ემძლავრა და აჯანყებულიყო, გონებიდან ემშობიარებინა „საქართველოში", „კრწანისის ყაყაჩოები", „სალაღობო", „ცაგერის ბაზრობა", „ბარდნალა", და კიდევ სხვანი, ამათი ტოლფარდი ან ცოტა ნაკლები ენერგიისა და მუხტის მქონენი. ჭლექითა და უსახსრობით დაუძლურება კი არა, ლადო ასათიანი მთელი საქართველოთი იყო დაავადებული,განსაკუთრებით თავისდროინდელით, და იმდენად საამაყო გახდა მისთვის ეს ავადმყოფობა, გულში არ ჩაიკლა იგი, ზედ არ დააკვდა, პირიქით, ამოიგლიჯა ის გული და ღადარში შეხვეული ნაკვერცხლებივით მუდმივ იმედად მოისროლა დაარტახებულ წუთისოფელში.

ამიტომაცაა ლადო ასათიანის ლექსები ცეცხლის მუდმივი კერა. ამიტომაცაა თუნდაც „სალაღობო" იგივე „ასათიანური" მხოლოდ უბრალოდ გაჩაღებული ცეცხლი კი არა, დიდი ახანძრება, დიდი სულისძვრა. ეს ლექსი მუდამჟამს გაღვივებულია. მისი მოთენთვა, ჩანავლება შეუძლებელია, მას არასდროს დასჭირდება საბერველი, ზურგის ქარი. „სალაღობო" მხოლოდ ფორმის წყალობითაა პოეტური სანახაობა, თავგამეტებით ლარგადაჭიმული ლირიკული აკომპანიმენტი, სტრიქონებისა და სტროფების გამოფენა.სინამდვილეში იგი გოლიათურად წამომართული ქართულობაა, ასევე გოლიათური ფილტვებით (ლადო ასათიანის დაცრეცილი ფილტვები რას იკმარებდა ამ ლექსის წარმოსათქმელად!), გოლიათური მსხმოიარობით, ექო-ექოდ რომ ამოიღადრავს ყელს, ამოხმიანდებაამოგრიალდება, ყველგან მოგწვდება, ყველგან მოგეშველება, ყველგან მოგიტანს ცეცხლს და გაქცევს ცეცხლად.

*„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს*
*ელდა ეცეს,*
*გაისარჯოს და ბრძოლაში*
*დაიხარჯოს!*
*გაუმარჯოს საქართველოს*
*მზეს და ზეცას,*
*საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!*

*დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს*
*ძარღვში,*
*ჯერ ხომ საროს ფოთლები*
*არ გასცვენია,*
*ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის*
*დიდ ტაძარში*
*აქართველოს ცხელი გული ასვენია!*

*დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,*
*რომ ფილტვები გვეტკინოს და*
*დაგვებეროს!*
*დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,*
*რომ ცხოვრებამ ვერასდროს*
*ვერ დაგვაბეროს!...*

ვეთანხმები ძველ და ახალ კოლეგებს - თუნდაც ამ სამიოდე სტროფში პოეტიკურ-ვერსიფიკაციული და, რაც გნებავთ ის დაარქვით, თვალსაზრისით განსაკუთრებული არაფერი ხდება, არც ლექსიკონია უცხო, ახალი ინფორმაციის მომცველი, ოდიდგანვე ვიცოდით აქ მოხმობილი სიტყვების სემანტიკა და ა.შ. მაგრამ რომელმა მოახერხა ასე იოლად მოსახელთებელი საშენი მასალით წამოემართა უზარმაზარი ციხე-სიმაგრე, ყოველი მხრიდან რომ იქნებოდა მისაწვდომი ე.ი. ციხე-სიმაგრედაც დარჩებოდა და თანაც ყველა კარი თუ ჭიშკარი ღია ექნებოდა. ლადო ასათიანმა შეძლო „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენით" ჩვენებური ბედაური სიყვარულიც, ლექსიცა და სადღეგრძელოც ერთ მსხმოიარობად ექცია, ერთ მაღალ, მქუხარე ნოტად გადაეწვდინა იმ მიწისთვის, რომელზეც თავად ცოტა ხანს იარა, მაგრამ მოასწრო მასში ყელამდე ჩაფლობა.

ერთ დიდებულ მეცნიერს და ლადო ასათიანის მეგობარს „სალაღობოს" ფილოლოგიური გამოკვლევის ბოლოს უწერია, რომ ამ ლექსს ნებისმიერი გენიოსი პოეტი მოაწერდა ხელსო, არადა, „სალაღობო" ხელმოწერილიცაა და მართლაც გენიალური უბრალოებით სიტყვასხმული, შეცვარულად სიტყვასხმული, მუდამ ნედლი, „მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივით", აცრემლებამდე ამოყივილებული სიყვარულითა და ვაჟკაცობით. ამ ლექსით დაწყვეტილია ყველა არტახი,ამ ლექსით დამხობილ-დასამარებულია საშინელი თანამედროვეობა, დალეწილია დრო - ციხე, დრო - საკანი, ეს ლექსი ბრძოლით, სისხლიანი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლებაა, ესაა საკუთარი თავიდან ამოხეთქვა, საკუთარი თავის შეუბრალებლობაც, გამარჯვება საკუთარ ერთეულ კაცობაზე, ესაა ზეიმი მონატრებული სიცოცხლის. ესაა რჩეული ქართული ტრადიციულობის თავმოყრა ადამიანურობის გაუფასურების წინააღმდეგ, ისევ და ისევ ცეცხლი გადამბუგველი სიბნელის,უგუნურების, მტრობის,გაუტანლობის...ცეცხლი - უფრო ძლიერი განათების, ჭაბუკურად დარჩენის, უძლეველობის, დაუშრეტელი ეროვნულობის, უფრო ლამაზი საქართველოს.

„სალაღობო" იმდენად ორიგინალურია ხმიანობითა და უბრალო ჩამოსხმულობით ნებისმიერი მიბაძვა, ახლად მოსურვილებული პოეტური ჭიდილი მის მიმართ აუცილებლად დამარცხდება. იგი მიუკარებლად ცალკე დგას არა მხოლოდ ლადო ასათიანის პოეტურ მთიანეთში, არამედ მთელს ქართულ პოეზიაში, როგორც ხალხური „ლექსი მოყმისა", როგორც რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", როგორც აკაკის „სულიკო"...

ლადო ასათიანს არაფერი წაუგია იმით, რომ არ გამოედევნა პოეტურ ექსპერიმენტებს, არც იმითაც დაშავებულა რაიმე, ზეციხკენ წარამარა რომ არ გაურბოდა თვალი, არც მეტაფორულ, ქვეტექსტური სიღრმეების საძებნელად მიუწევდა გული.თუმცა მხოლოდ უტყვი ფოტოგრაფიითაც არ დაკმაყოფილებულა. მისი ნატურმხედველობა სიცოცხლის ზეიმურობაცაა და ნაწილობრივ რომანტიკულად შეღერილი ტკივილი, იოლად ხელშესახები, ნივთიერი, მიწიერი, მისი მონატრება ნამდვილადაა მონატრება, მისი ცრემლიც ნამდვილი ცრემლია, არც მისი თვალებია გადაბრუნებული სარკე. ამიტომაა, რომ ლადო ასათიანის არც ერთი ლექსი არაა მალულად მოჭრილი ყალბი მონეტა, ისინი მხოლოდ მეტ-ნაკლებად ძლიერები არიან ენერგიით, ემოციური წნევაცვალებადობით.

ამ სტრიქონების წერისას მხედველობაში მაქვს ლადო ასათიანის შესანიშნავი ლექსები:"საქართველო","ალბომიდან", „კრწანისის ყაყაჩოები", „ცაგერის ბაზრობა", „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი", „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა", „თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო", ვერიკო ანჯაფარიძეს", „ბარდნალა", „რუსთაველის პროსპექტზე"... თითქმის ყველა ჩამოსათვლელია ლადოს ასზე მეტი ლექსიდან, ისინიც კი დირექტიულ-კალენდარულ შეცოდებად რომ ითვლებიან, რომელთა თემა რამდენადმე გამაღიზიანებელი კი არის, მაგრამ ნიჭიერი ოსტატის ნაკალმარი ყველგან იგრძნობა.

და მაინც, ლადო ასათიანი უპირველეს ყოვლისა გახლავთ სიტყვის ძალოვანების, მისი მუსიკალურ-მელოდიური ზემოქმედების მიმგნები პოეტი. მან მოახერხა სიტყვის ამ თვისებების მოხელთებაცა და მათი ისე განლაგება, რომ თანდათან გაძლიერებულიყო სალექსო რიტმი, თანდათან ახმიანებულიყო სიმფონიურობა, თანდათან გაზრდილიყო წარმოქმნილი ხმოვანი ტალღების სიხშირე და იმდენად დაუნდობელი გახლავთ ამ თვალსაზრისით, თითქოს არ ერიდება მკითხველის წონასწორობის დაკარგვას და აღწევს კიდეც მიზანს. (შეიძლება ძალზედ განიცდიდა, თვითონ რომ არ გააჩნდა თავისივე ლექსების წარმოსათქმელად საჭირო ძალა სისცოცხლის ბოლო ხანს).არადა, თავად მკითხველიც გრძნობს ლადოს ლექსის მოთხოვნას.მისი ინტონაცია იმდენად თვალშისაცემი და მკაცრად ზუსტია,გასაქანს არ მოგცემს,დაგიმორჩილებს,არ გადაგიშვებს სხვა ბაღჩაში. სხვა შესაძლებლობის გამონახვის მცდელობა ფუჭი ძიებაა, ვერ მიიღებ აჩქარებულ პულსს, ვერ აღმოჩნდები ლექსის მორევში.

არაერთ გამოკვლევაშია გამოთქმული მსგავსი მოსაზრებანი.(შ. აფხაიძე, ლ. კალანდაძე, გ. ჯიბლაძე, გ. შალამბერიძე, მ. ალავიძე, მ. ჩორგოლაშვილი, გ. ასათიანი, ლ. ავალიანი, რ. მიშველაძე, აკ. ხინთიბიძე...ა. ნიკოლეიშვილი) ამიტომაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მხოლოდ ერთი ამონარიდს დავიმოწმებ ა. ნიკოლეიშვილის მეცნიერული ნარკვევიდან:"ლ. ასათიანის პოეზიაში სიტყვას ბუხარში გაღვივებული ნაღვერდლის მცხუნვარება აქვს შეძენილი. მისი პოეტური შთაგონება ქართული მიწის ბარაქით საზრდოობს...ქართულ პოეზიაში ლ. ასათიანმა მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი მუსიკალური ინტონაცია დაამკვიდრა. სიტყვისა და ფრაზის მისეული მელოდიურობა განუმეორებელ ჟღერადობას გამოსცემს...ლ. ასათიანის პოეზია ბუნებრიობის, პოეტური უბრალოების, სისადავისა და გულწრფელობის ერთ-ერთი იშვიათი ნიმუშია ჩვენს მწერლობაში. მისი ლექსი საოცრად გამჭვირვალეა, ნათელი და კამკამა. განწყობილება გამორჩეულად გულწრფელი, უშუალო და ანდამატური. გრძნობა - ლაღი, ხალასი და გულის წიაღიდან მომდინარე. პოეტის ტკივილიცა და სიხარულიც ისეთი ბუნებრივი ძალდაუტანებლობით გვეუფლება, რომ ჩვენი გრძნობადი სამყაროს სისხლხორცეული ნაწილიც ხდება. ლადოს პოეზია ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია პოეტური მეს ჩვენად გარდაქმნისა და თვით ყველაზე ინტიმური გრძნობების იმგვარი სახით გამოხატვისა, როცა მკითხველიც იქცევა ამ გრძნობათა თანამონაწილედ და თვითგანმცდელადაც." (ა. ნიკოლეიშვილი, თხზ. ტ.V, გვ.261, 282, 2005)

ამიტომაც არაა გასაკვირი ლადო ასათიანის პოეტური სამყაროს მარგალიტები მარადიულ სიცოცხლედ და იმედად რომ გვესახება. ლადოს ლექსებს ფიროსმანის თვალები აქვთ, ლადო ფიროსმანია პოეზიაში, ისევე როგორც თავად ფიროსმანი გახლდათ ასათიანური სულის მხატვარი. ფიროსმანობა და ასათიანურობა ერთშერწყმა ხელოვნებაა იმ ჭაბუკური ურასისხლის მქონე თაობების საზრდო-საკვებად, რომელთა გულს ვერასდროს მოასვენებს ვაჟკაცური ამოძახილი:

*"რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,*
*სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ*
*და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,*
*როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე."*

***გია ხოფერია***

# მ ე ნ ა ნ ე ბ ი

ბოსფორის სრუტედან ცივმა ქარმა მოუბერა.ეს უკვე აღარ იყო ჩემთვის კარგად ნაცნობი თბილი ბრიზი...ფულეს თავშალი მხრებიდან თავზე ამოვაჩოჩე.--,,მადამ,ახლა ჩვენი დღესასწაულია-რამაზანი და თავშალიც ძალიან გიხდებათ!"--მანქანის სარკიდან მიღიმის თურქი მძღოლი.ზრდილობისთვის მეც გავუღიმე და თვალით ისევ სანაპირო მოვძებნე.--,,ჰო,სულ თქვენ დღესასწაულზე ვფიქრობ,მეტი არ იქნა ჩემი მტერი! .ნეტავ,ეს ქალები არ გყავდეთ ასე კომბოსტოსავით შეფუთულები და გაუბედურებულები!--გავიფიქრე მე. ...საღამოს ბინდში გახვეული ულამაზესი ქალაქი ჩემში სევდას იწვევდა.ის ახლა მიტოვებულ სახლს ჰგავდა,რომელმაც თავისი ჭეშმარიტი პატრონი დაჰკარგა და ძალად შემოჭრილ მომხვდურებს სტუმრობდა! გული მომეწურა..არადა,რა ლამაზია ბოსფორის სრუტის ორივე მხარეს გაშენებული ძველი,ქრისტიანული ნავსაყუდელი--უმშვენიერესი კონსტანტინოპოლი! სად კონსტანტინოპოლი და სად ისტანბული?! სახელი მაინც შეერჩინათ ღირსეული და გამორჩეული! ომების შესახებ როგორ არ წამიკითხავს--მის მეტი რა არის კაცობრიობის ისტორიაში,მაგრამ იქ ერთი ცივილიზაცია მეორეს ენაცვლება,ერთი ჩერდება და მეორე აგრძელებს! აქ კი რა მოხდა? ეს ჩავარდნა იყო ,აშკარა ჩავარდნა --ისტორიის ბრმა და ყრუ მოხვეული! უძველესი ბიზანტიური კულტურა წაიშალა და სულ სხვამ ჩაანაცვლა--უცხო ტომმა და ხალხმა,რომლებმაც არც მისი ფასი იცოდნენ და ვერც ვერასდროს ავიდოდნენ მის სიმაღლემდე! ყველაფერი მოისპო და განადგურდა,რასაც ქრისტიანული კულტურა ჰქვიოდა და რითაც ამაყობდა ბებერი ევროპა--ანუ კონსტანტინოპოლის მზე ჩაესვენა ! . ..აქ, ახლა ბერძნები უნდა დაშრიალებდნენ--მშვენიერები,ტანადები,თავისი საუცხოო სიმღერებით და ცეკვებით! აქ ,მათი ხმა უნდა ისმოდეს--მათი გადაძახილი...აქ,ძველი რომაელების და გალების მემკვიდრეები უნდა აგრძელებდნენ ცხოვრებას ანუ ევროპა უნდა ფეთქავდეს!..--ვაგლახ,გიმუხთლეს ძველო ქალაქო! --კონსტანტინოპოლის იმპერატორი შველას და დახმარებას ითხოვდა,მაგრამ ამაოდ:--საფრანგეთს და ინგლისს ერთმანეთთან ასწლიანი ომი და კაპრიზები ჯერ არ დაემთავრებინათ და მისთვის არ ეცალათ,გერმანია მხოლოდ დაპირებებზე იყო გადასული,იტალიამ კი-თავის მცირე ჯარით ბევრი ვერაფერი უშველა საქრისტიანოს ციტადელს! ...და ქალაქიც დაეცა! ახლა არას უშველის წუწუნი და თავში ხელების წაშენა.ძველი ,ბიზანტიური კულტურა დანგრეული კოშკებიდან,მოპარული მარმარილოს სვეტებიდან,წაშლილი ფრესკებიდან შემოგვყურებს და პასუხს ითხოვს--სულს გვიმძიმებს!..ბოსფორს ცრემლით დაბინდულ თვალს ვაშორებ და სიბნელეში ჩურჩულით ვამბობ--იქნებ ,ინებოს უფალმა და ისტორია კვლავ წაღმა შემობრუნდეს, მენანები კონსტანტინოპოლ--მართლმადიდებელთა დედაქალაქო!

*ქეთევან უკლება*

# ბ ე ქ ა  ფ ო ც ხ ვ ე რ ი ა

***

ცხოვრება როგორ მღლის, ცხოვრება მისთვის ღირს
ტკივილიანი წლები, ვინც აიტანა შენი.
ეგ სულის სისპეტაკე მაინც რარიგად გშვენის
სიფერადე ხარ დღის, სიფერადე ხარ ცის.

ცხოვრება, როგორ მღლის, მირევს გაკვალულ გზებს
მოვალ შენამდე მაინც ხვალ იქნება თუ ზეგ.
მანამ კი ავიტუზები, მივეფიცხები მზის
ფართოდ გადაშლილ მკლავებს.

ანამდის მიმაკლავენ
მანამდის შემაჩერე, მანამდის დამაკავე,
თორემ იმ ქუჩის ბოლოში ან დასაწყისში გზის
სადაც შენ გაგიცანი და თავი გაგაცანი
და ვხსნიდი გამოცანებს ცხოვრებისას და შენსას.

ისევ იგივე მჭირს ისევ მიყვარხარ დღესაც
ისევ იმადვე ვრჩებით რაც ადრე თავი ვცანით.
ცხოვრება, როგორ მღლის, მირევს გაკვალულ გზებს
მოვალ შენამდე მაინც ხვალ იქნება თუ ზეგ.

***

დილამდე გასტანს ამნაირ თოვა,
ითვისებს მიწა უცხო ტურისტებს.
შენამდე ჩემო იმდენჯერ მოვალ
რამდენჯერ უკან გამომისტუმრებ.

რა დააძინებთ ბებერ ხის რტოებს,
საცაა ზეცა გადმოყირავდეს.
ძალზე რთულია იტანდე პოეტს,
იტანდე, თანაც ასე გიყვარდეს.

***

ზამთარმა ფეხი გაიდგა მჭიდროდ
და მესმის ახლა განწირულთ ლოცვა.
ნეტავი იმ დროს, ნეტავი იმ დროს
დაუფიქრებლად გიყვარდი, როცა.
ახლა კი თოვლში, როგორც იმედებს
ვაგროვებ გუნდებს სხვებისთვის, ჩემთვის.
და რაც თავისთვის ვერ გავიმეტე
ყოველ წამს მაინც ვიმეტებ შენთვის.

რაც ვერ დავთესე დღეს იმას ვიმკი
და იმედები თოვლივით ქრება.
რა დიდებული რამ არის ფიქრი,
თუკი სიკვდილზე არ გეფიქრება.

### ყვავილები

რა უცნაური ძალა აქვს ყვავილს,
რა მძიმე ბედი ერგოთ ყვავილებს.
ჩემთან ეზოში იები ყვავის
და ყოველ დილას მიყვავილებენ.

აეკვრებიან ყინვისფერ მიწას,
რისი რიდი და ან რისი შიში.
ფიქრებში ათას გვირგვინებს გიწნავ,
ფიქრითვე ყველა გვირგვინებს მიშლი.

ხელისგულივით იშლება სივრცე,
ჰაერში იის სურნელი ჭარბობს.
გული მომაკვდავ კაცივით მიცემს
და შენი გულის ფეთქვაზე ვჯავრობ.

რა უფერული დღეები მოდის
და როგორ გვიმძიმს გაფერადება.
რა დიდებული ძალა აქვს ლოდინს,
როცა ლოდინი გვეიმედება

### ჩემი სოფელი

ჩემი სოფლისკენ გზა მატლივით მიიკლაკნება
და ჩემს სოფელში ხეებია ღამის დარაჯი.
სახლში ქათმები კაკანებენ, ტყეში კაკბები,
შენ უნდა ნახო ყოველ მათგანს როგორ ვაჯავრებ,
შენ უნდა ნახო როგორია ჩემი სოფელი.
სადაც ვხოვრობდი, ანუ ვცხოვრობ_ ჩემი სახლია
ჩემი ოთახიც ასეთს მგუობს (უფალს დიდება)
სხვაგან კი სადაც კარებს ვაღებ ლექსებს მახლიან
თუმცა სიკვდილი ამგვარადაც მიადვილდება.
შენც შეეცადე და ერთ დღესაც ლექსებით მოკვდი.
მე დედაჩემის თვალებს უკან ხშირად მინახავს,
როგორ წვიმს, როცა მივდივარ და ვერაფრით
ვბედავ,
რომ რამე ვუთხრა, რაც მის ცრემლებად არ
ეღირება.
შენ თუ გინახავს როგორია პოეტის დედა?
_უემოციო, როგორც თოვლი ზამთრის მიწურულს.

### ამადორ

მთვარემ ღრუბლებზე თავი შემოდო
და კვლავ ერთი დღე უხმოდ წავიდა.
შიში ოთახში ისე შემოდის,
როგორაც ღამე ჭუჭრუტანიდან
მოიპარება, რომ ყველა კუთხე
დაისაკუთროს-მიხვდე მარტო ხარ.
ვერ აუდიხარ ზიზღნარევ ფურთხებს,
რომლებიც შენს ყელს ისე აღმოხდა
როგორც მდინარეს დიდი გომბეშო,
როგორაც წყალი მეზობლის ონკანს.
-ღამის ვალია, რომ შიში შობოს,
-კაცის ვალია, რომ შიში მოკლას.
ამიტომ ყველა ზედმეტი ფიქრი,
უნდა ადგე და გვერდზე გადადო,
როგორაც ბევრჯერ ნაკითხი წიგნი,
ჩემო ამადორ.

***

დღეს ვდუმვარ, რადგან ვერ მაპატიე
სიშორე- ყველა ოცნების მკვლელი.
მე ყველა ღამე თეთრად ვათიე
და ახლა მზიან გაზაფხულს ველი.

მანამ კი ქარი მილეწავს გვერდებს
ყვავილობისთვის ვედარა ვიცლი.
კბილმოუცვლელი ბავშვივით ვენდე
ცხოვრების ყველა შეფერილ სიცილს.

ხელში კი მხოლოდ ტკივილი შემრჩა
და მძიმედ დამაქვს ჩემი ხელები.
ხშირად მინახავს სიცოცხლით სავსე
კაცი უეცრად განახევები.

# ჯაცი, რომელსაც უყვარდა ფილოსოფია



ქართველ ფილოსოფოსთა რიგებს გამოაკლდა უნიჭიერესი მოაზროვნე, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, უბრალო, უპრეტენზიო, ყველასათვის საყვარელი და საინტერესო პიროვნება__გიორგი კუჭუხიძე. იგი დაიბადა 1928 წლის 22 ივლისს, ბაღდათის რაიონის, სოფელ ნერგეეთში, სამი წლის ასაკში დაობლდა და მისი აღზრდა იკისრა ბიძამ. 1947 წელს დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, საიდანაც მალე გადავიდა ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყოფილებაზე. 1957 წელს დაამთავრა პედინსტიტუტის ასპირანტურა, ფილოსოფიის სპეციალობით. მისი მეცნიერული განსწავლულობისა და მსოფლმხედველობრივი თვითდამკვიდრების შეუქცევად პროცესს განსაკუთრებულად ხელი შეუწყვეს ისეთმა საყოველთაოდ ცნობილმა პროფესორებმა, როგორებიც იყვნენ ანგია ბოჭორიშვილი და კოტე ბაქრაძე, მათ ჯერ კიდევ ასპირანტურის კურსის დასრულებამდე, როგორც იშვიათ გამონაკლისს, თავიანთ მოწაფეს შესაძლებლობა მისცეს წაეყვანა სალექციო კურსი ფილოსოფიაში, რითაც გამოხატეს მისადმი ნდობა და მხურვალე მხარდაჭერა, რაც ბატონმა გიორგიმ დაიმსახურა თავისი გამჭრიახი ორიგინალური აზროვნებისა და მჭევრმეტყველების შესაშური უნარის წყალობით, ამის შემდეგ, ის დამკვიდრდა ფილოსოფიის კათედრაზე, უფროს მასწავლებლის თანამდებობაზე, სადაც მან ნაყოფიერად იმუშავა 2006 წლამდე.

გიორგი კუჭუხიძე, წლების მანძილზე კითხულობდა ღრმა შინაარსიან შთამბეჭდავ და საოცრად შთამაგონებელ ლექციებს, რომლის ყოველი მნიშვნელოვანი თუ წვრილმანი ეპიზოდი ათწლეულობის შემდეგაც წარუშლელ კვალს ტოვებდა, თვით ყველაზე ჩამორჩენილი და სწავლის დაბალაკადემიური მაჩვენებლების მქონე სტუდენტებში, რომელთაც ამდენი ხნის მერეც კი, გაუთავებლად შეეძლოთ აღნიშნულ შთაბეჭდილებებზე საუბარი; იმდენად აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული იყო ბატონი გიორგის პროფესიული საქმიანობა, რომ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის გამო, მან თვით დისერტაციის დაცვისთვისაც კი ვერ მოიცალა. სამაგიეროდ, უყურადღებოდ და საგანგებო გამოხმაურების გარეშე არ ტოვებდა, განსაკუთრებით, გასული საუკუნის 70_იან წლებში გამოსულ პოპულარულ შრომებს: ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ამის ნათელი ნიმუში გახლავთ აკადემიკოს ა. ბოჭორიშვილის ცნობილი მონოგრაფიის__ „კანტის ესთეტიკის" შესახებ, მის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში__ „მაცნე", რომელმაც ერთიანად მიიპყრო საქართველოში მოღვაწე სახელოვან ფილოსოფოსთა ყურადღება. გ. კუჭუხიძის საქმიანობით ძალიან დაინტერესდა სასიქადულო ფილოსოფოსი, აკად. გ. თევზაძე, რომელმაც სერიოზული ძალისხმევა მიმართა იმისათვის, რომ მას დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია, თუმცა იმ ხანებში მის ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელიც უსაყვარლესი მეუღლის გარდაცვალებით იყო გამოწვეული, მას ხელი აღებინა სამსახურებრივი თანამდებობებისა და სამეცნიერო ხარისხების მოპოვების სულ ოდნავი მისწრაფებისგანაც, ამიტომაც ის ყოველგვარი პომპეზურობისა და ტიტულების გარეშე, უხმაუროდ განაგრძობდა, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას, სამაგიეროდ, მისმა გაზრდილმა და დამოძღვრილმა ათეულობით სტუდენტმა, წარმატებით დაიცვა, როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები, რომელთაც ღირსეულად და სახელოვნად დაიმკვიდრეს ადგილი, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო, საგანმანათლებლო სისტემაში.

გიორგი კუჭუხიძე ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი შინაგანი კულტურით, ფილოსოფიური პრობლემატიკის ღრმა ცოდნით, რამაც მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელ საქართველოშიც; მას ჰყავს ბრწყინვალე ოჯახი, შვილი, რძალი, შვილიშვილი და შვილთაშვილები. მის დაწყებულ საქმეს დღესდღეობით ღირსეულად აგრძელებს მისი ვაჟი__ნუგზარ კუჭუხიძე, რომელიც ყოველწლიურად თარგმნის და კომენტარებს ურთავს მსოფლიოს საუკეთესო მოაზროვნეთა თხზულებებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ბრძენი და საოცრად კეთილშობილი კაცის, ბატონი გიორგი კუჭუხიძის სპეტაკი სული, რომელსაც ასრერიგად უყვარდა ფილოსოფია.

*იაკობ კუჭუხიძე,*
*ბადრი ფორჩხიძე*
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
დეპარტამენტის
სახელით

# გაუგზავნელი წერილი გარდაცვლილ მეუღლეს

*ამონარიდი ციკლიდან: ესეც ჩვენი ისტორიაა*

ქუთაისის ჯადოსნური ხიბლი და ფენომენი ვერ გააფერმკრთალა ჩვენში შექმნილმა საკმაოდ რთულმა და შეჭირვებულმა ვითარებამაც.

ფრთაშესხმული დააბიჯებ ქალაქის ოცნებადქცეულ ქუჩებში და გეამაყება, რომ ყველგან აკაკისა და გალაკტიონის ნატერფალია, ნატერფალია განუმეორებელი გიორგი შავგულიძისა, გენიალური იპოლიტე ხვიჩიასი, იუმორის ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანის ვალერიან მიზანდარისა, დიდი ზურაბ კუხიანიძისა, კლასიკოსი მწერლის რეზო ჭეიშვილისა და სხვათა და სხვათა...

გვეამაყება ისიც, რომ იუმორის ამ დიდებულ ქალაქში დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძის უკვდავი „ყვარყვარე თუთაბერი".

დააბიჯებ ქუთაისის ქუჩაბანდებში და ერთგულ მასპინძლად წინ შემოგეგებება ლეგენდარული „ხუტა უფროსი" - ჩვენი მეგობარი გოვენ ჭეიშვილი, გიზო კაკაურიძის ოტია იოსელიანი, კოლორიტული ვაჟა ჭყონიას ღიმილი და ცინცხალი იუმორი...

ვისაც განგებამ გვარგუნა ვიყოთ ქუთაისელნი, ვალდებული ვართ გავიხსენოთ და სათანადო პატივი მივაგოთ იმ მადამიანებს, რომლებიც თავისი არსებობით ალამაზებდნენ ჩვენს ყოფას, პეწსა და ხიბლს მატებდნენ ქალაქს და ემსახურებოდნენ ქვეყანას, ხალხს.

ერთ-ერთი ასეთი საამაყო ქუთაისელი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი დიმიტრი კოპალიანი.

ბატონმა დიმიტრიმ 1938 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და იქვე დატოვეს ასპირანტურაში.

შემდეგ მუშაობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1946-1952 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად, რაც მაშინ საკმაოდ დიდ, სოლიდურ და საპასუხისმგებლო თანამდებობად ითვლებოდა.

შემდეგ დიმიტრი კოპალიანი უბრუნდება სამეცნიერეო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.ლექციებს კითხულობს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში. დაიცვა დისერტაცია, აირჩიეს კათედრის გამგედ და დოცენტად. შემდეგ მიიღო პროფესორის წოდებაც.

მიღებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკისა და წარჩინებულის წოდებები.

1996 წელს მიენიჭა ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონი დიმიტრის კრისტალური პატიოსნება საქვეყნოდ იყო ცნობილი, რის გამოც კოლეგებსა და სტუდენტებს შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მას ისეთ მაღალ თანამდებობებზე უმუშავია, შეიძლებოდა ადვილად გამდიდრებულიყო, მაგრამ მისი ოჯახი სულ ხელმოკლედ ცხოვრობდა.

ბატონმა დიმიტრიმ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა თამარმა ქვეყანას სამი ვაჟკაცი აღუზარდა:ზურაბ კოპალიანი - გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატ მეცნიერთა ჯგუფის წევრი. მოღვაწეობს პეტერბურგში. ნოშრევან კოპალიანი - მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. მუშაობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამირან კოპალიანი - მეცნიერი და ექიმი.მოღვაწეობს ქუთაისში.

1995 წელს გარდაიცვალა ბატონი დიმიტრის მეუღლე ქალბატონი თამარი.

1996 წლის 14 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, დილაადრიან ბატონი დიმიტრი შინაურებთან ერთად ქალბატონ თამარის საფლავთან გასულა. მეორე დღეს, 15 აპრილს კი ბატონ დიმიტრის მრავლისმეტყველი წერილი მიუწერია გარდაცვლილი მეუღლისათვის.

ეს წერილი რამდენიმე წლის შემდეგ იპოვეს მის არქივში.

გთავაზობთ ამ წერილს უცვლელად:

„თამარ, დღეს 15 აპრილია, აღდგომის მეორე დღე.

აღდგომის დღეს ე.ი. 14 აპრილს შენს საფლავზე ვიყავით: მე,ნოშრევანი,ამირანი,მანანა,ირაკლი, თამუნა და ბებია ნათელა.

ჩემო თამარ,გასულ წელს ყველა ერთად შევხვდით აღდგომას!

საუბედუროდ, წელს კი - უშენოდ!

ზურაბი თავისი ცოლ-შვილით პეტერბურგშია, დიტო კი - ამერიკაში.

ყველა ძალზე ვწუხვართ, რომ შენ ჩვენთან არა ხარ. რა გაეწყობა...ასეთია ცხოვრების მკაცრი კანონი!

პირადად განსაკუთრებით მძიმედ განვიცდი იმას, რომ მთელი სიცოცხლე ხელმოკლეობაში გავატარეთ. შენმა გონიერებამ და ერთგულებამ შეგვაძლებინა შვილების აღზრდა.პატიოსნად ვიცხოვრეთ ერთად ამქვეყნად. ვფიქრობ, ჩვენი შვილები არასდროს დაგვივიწყებენ. ისინი უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე ჩვენ ვიყავით ჩვენი მშობლებისათვის. შვილიშვილებიც ამ ტრადიციაზე იზრდებიან. ამის დასტურად საკმარისია ითქვას: აღდგომის დღეს ზღვა ხალხი იყო სასაფლაოს შესასვლელში. მოულოდნელად გამოგვეყო და მარტო მივიდა შენს საფლავთან ირაკლი. ჩვენ კი ძალზე შეწუხებულნი ვიყავით, არ დაგვკარგოდა ამ ზღვა ხალხში...

ის კი მარტო იჯდა შენს საფლავთან და გველოდებოდა.

როცა ვნახეთ, ყველა დავწყნარდით.

მისი მოქმედებით ირაკლიმ თავისი სიხარული გამოხატა ბებიისადმი.

თამარ, შენ დარდი გაგყვა ოჯახის ყველა წევრისა. ნურაფერს იფიქრებ ჩვენზე, ოჯახზე. ყველანი კარგად არიან. ჯერჯერობით მეც არა მიშავს, ყურადღებას არ მაკლებენ შვილები, რძლები, შვილიშვილები.

მშიდად იყავი, ჩემო თამარ!

დიმიტრი კოპალიანი („დუ" - შენი შერქმეული სახელია)

1996 წლის 15 აპრილი."

შეუძლებელია, ეს ღაღადი სულისა უცრემლოდ წაიკითხო ადამიანმა!.

დიახ, დიმიტრი კოპალიანისთანა საუკეთესო შვილებია ქუთაისის სიამაყე და სიმდიდრე!

საბედნიეროდ, ესეც ჩვენი ისტორიაა!

*ბენია თხილავა*

# სახელოვნებო ხვირთევლი აწსუ-ში

მთავარი რედაქტორი **ბია ხოფერია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com